დუმილი დანაშაულის ტოლფასია A2

ყურის აწევის მცდელობა თავისუფალი მასმედიისთვის A5

ამოდის, ნათდება! A7

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | სპეციალური გამოშვება | სამშაბათი, 11 ნოემბერი, 2003 წელი. №294 (506) | ფასი 50 თეთრი

# წვიმა, სიმღერა და გამარჯვების რწმენა პარლამენტის შენობის წინ

თამარ კაციტაძე

*2003 წელი. 10 ნოემბერი. შუაღამე. სიცივე, წვიმა. პარლამენტის შენობის წინ შეკრებილი ასობით ადამიანი. მშვიდობიანი მიტინგი. საქართველოს მოსახლეობა მესამე დღეა, არსებულ ხელისუფლებას უნდობლობას უცხადებს და გაყალბებული არჩევნების ბათილად გამოცხადებასთან ერთად, ქვეყნის პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვს.*

**"ვითხოვთ საკუთარი უფლებების დაბრუნებას. გვინდა გვჯეროდეს, რომ ჩვენც ამ ქვეყნის სრულფასოვანი მოქალაქეები ვართ და სულში არ გვაფურთხებენ. აღარ გვინდა მონური ცხოვრება. გვინდა ის ხელისუფლება, რომელიც ჩვენ ავირჩიეთ, რომლის რწმენაც გვექნება და რომელიც ხალხზე იფიქრებს,"** – ეს იმ მოთხოვნათა მცირე ნაწილია, რამაც ასობით ადამიანი, კოკისპირული წვიმის მიუხედავად, ქუჩაში გამოიყვანა. სწორედ ეს ფრაზები გაისმის პარლამენტის შენობის წინ გამომსვლელი ორატორებისგან და იმ ხალხის პირად საუბარშიც, რომლებიც დღევანდელმა მიტინგმა შეახვედრა და დააკავშირა.

გაგრძელება A6 გვერდზე



*ღამისმთეველი.*

# პოლიციას ხელი უკანკალებს

## როგორ მოიქცევიან ძალოვნები მიტინგის დარბევის ბრძანების მიღების შემთხვევაში

*ხელისუფლების მუქარა, რომ საჭიროების შემთხვევაში პარლამენტის შენობასთან შეკრებილი, ოპოზიციის მხარდამჭერი ათობით ათასი მომიტინგის წინააღმდეგ ძალას გამოიყენებს, აქტუალობას არ კარგავს. გუშინ კი, პანკისის ხეობიდან რამდენიმე ერთეული ჯავშანმანქანის თბილისის მიმართულებით გადმოადგილების გამო, გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმებისა და რკინის ფარმუზარადებით, რეზინის ხელკეტებით აღჭურვილი პოლიციელების გარდა, შესაძლოა, მომიტინგეებს ჯავშანტექნიკითაც დაუპირისპირდნენ.*

**კობა ნარჩემაშვილს პოზიცია არც გუშინ შეუცვლია.** "მე და ჩემს უწყებას, ქვეყანაში შექმნილი ვითარების კონტროლთან ერთად, სახელმწიფო კანცელარიის უსაფრთხოების დაცვაც გვევალება და ამას ვაკეთებთ კიდეც. ჩვენ არ გვინდა, რადიკალური ზომები გამოვიყენოთ, მაგრამ გვაქვს სერიოზული ინფორმაციები, რომ მზადდება პროვოკაცია და ამ ყველაფრისთვის მზად ვართ. თუმცა, თუ ხედავთ, მომიტინგეებთან პოლიციის ძალები სრულად მობილიზებული არ არის, მომიტინგეებში არც კი ჩანან, რადგან ჩვენ არ გვინდა სიტუაციის დაძაბვა, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ პროვოკაციის შემთხვევაში ყველა პრევენციული ზომა იქნება მიღებული. ჩვენ აუცილებლად ვიმოქმედებთ კანონის შესაბამისად..." - **ასეთი გახლავთ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოქმედების გეგმა.**

**შინაგანი ჯარის სარდალი გია შერვაშიძე, რომლის ხელქვეითნიც სახელმწიფო კანცელარიასა და პარლამენტის შენობას იცავენ, დარწმუნებით ამბობს, რომ ჯავშანტექნიკა მომიტინგეების წინააღმდეგ გამოყენებული არ იქნება:**

- პანკისიდან სულ რაღაც ექვსი ერთეული ჯავშანტექნიკა გამოვიყვანეთ და მუხროვანის სამხედრო ნაწილისა და სამგორის რაიონში მდებარე პირველი ოპერატიული

გაგრძელება A5 გვერდზე



*ისინი არ აპირებენ თანამემამულეთა დარბევას.*

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 12 | |
| ქუთაისი | 16 | |
| სოხუმი | 16 | |
| ბათუმი | 15 | |
| ფოთი | 12 | |
| თელავი | 14 | |
| ზუგდიდი | 16 | |
| გორი | 10 | |
| ჭიათურა | 13 | |
| გაგრა | 17 | |
| ახმეტა | 13 | |
| ონი | 12 | |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1200 |
| ევრო | 2.4202 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5262 |
| რუბლი | 0.0711 |

# აკაკი ბაქრაძის ჩანაწერები

## 1998-1999 წლების ბლოკნოტიდან

პოლიტიკოსი ორგვარია - შემოქმედი და შემსრულებელი. ერთიც საჭიროა და მეორეც. მაგრამ ახალ სახელმწიფოს ვერ ააშენებს ის, ვინც მხოლოდ შემსრულებლის ნიჭით არის დაჯილდოვებული. შევარდნაძეს შემსრულებლის ნიჭი აქვს, მაგრამ შემოქმედი არ არის. ამიტომ სრულიად უვარგისია დღევანდელ საქართველოში. სულ ერთია, ვინ კარნახობს მას: რუსეთი, დასავლეთი, თურქეთი. იგი სულ მოკავშირეს ეძებს. კარნახით კი ახალ ქვეყანას ვერ ააშენებს. ეს, სამწუხაროდ, არც ხალხს ესმის.

არც გამსახურდიას ჰქონდა შემოქმედის ნიჭი. ეს იქიდანაც კარგად გამოჩნდა, მინისტრებად ვინ დანიშნა... ყველა მათგანი სრულიად უსუსური იყო საქმის გასაკეთებლად.

შემოქმედებითი ნიჭი და კადრების არჩევაა უმთავრესი ახალი სახელმწიფოს ასაშენებლად. სწორედ ეს ორი აუცილებელი თვისება არ არის დღევანდელ საქართველოში.

მართალია, საქართველომ დამოუკიდებლობა ვერ მოიპოვა, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი რამ მაინც მოხდა: ქართველის ნამდვილი არსი გამოჩნდა. ჩვენი ყოყოჩობის ლეგენდა დაიმსხვრა.

■ ■ ■

ყველა ქართული გაზეთი იმას გაჰკივის - არაფერზე არ ვაგებთ პასუხს, რასაც გვინდა იმას დავბეჭდავთ, როგორც გვინდა ისე დავბეჭდავთ, პასუხისმგებელი მხოლოდ ავტორია, თუ რაიმეს მოკითხვა გინდათ, იმას მოჰკითხეთ. ამ პრინციპზე მყოფ მასმედიას მაშინ ის რაღად უკვირს, როცა ხელისუფლება ამბობს - არაფერზე პასუხს არ ვაგებო. დაიკარგა

გაგრძელება A3 გვერდზე



*"შევარდნაძეს შემსრულებლის ნიჭი აქვს. მაგრამ შემოქმედი არ არის".*

# ქართველი ტევტონები ქოლგებისა და ცელოფნების "ქალაქში"

*პრეზიდენტი და ხალხი საპირისპირო მიმართულებით მოძრაობენ. ამ გზაზე ისინი უკვე ასცდნენ ერთმანეთს: მაშინ, როდესაც ედუარდ შევარდნაძე თბილისში დაწყებული პოლიტიკური "ჟამიანობის" გამო აჭარაში "გადაიხვეწა" და ცოტა ხნის წინათ მის მიერვე "შავბნელ ძალად" მონათლულ პოლიტიკოსს მარადიულ სიყვარულს ეფიცებოდა, ამ დროს სამეგრელოდან, იმერეთიდან, გურიიდან და სხვა რეგიონებიდან დაძრული ადამიანები მრავალრიცხოვან პიკეტებს არღვევდნენ და პარლამენტის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციის მონაწილეებს უერთდებოდნენ. სიცივისა და წვიმიანი ამინდის მიუხედავად, ხალხი უკანდახევას და ხელისუფლებასთან დათმობაზე წასვლას არ აპირებს. პარლამენტის წინამდებარე ტერიტორია ქოლგებისა და ცელოფნების "ქალაქად" არის ქცეული.*

გიორგი ასანიშვილი

დღეს ყველა გზა პარლამენტისკენ მიდის - როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით: მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ 2 ნოემბრის არჩევნების შედეგები გააყალბა, გაწბილებულმა ამომრჩევლებმაც პროტესტის გამოსახატავად, სწორედ პარლამენტისკენ დაიწყეს დენა.

მიტინგის "გეოგრაფია" სულ უფრო ფართოვდება - გუშინ, თითქმის ყოველ ნახევარ საათში, მიტინგის წამყვანი მიკროფონში აცხადებდა:

გაგრძელება A5 გვერდზე

# ცესკო სასამართლოებისა და შევარდნაძის გადაწყვეტილებების მოლოდინში

*გუშინ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნების საერთო შედეგების გამოცხადებისაგან კვლავ თავი შეიკავა. ტრადიციისამებრ, ამის მიზეზად ცესკო-ს ხელმძღვანელობამ ის საჩივრები დაასახელა, რომელიც საოლქო სასამართლოებშია შესული და რომელიც დღეს უნდა განიხილონ. რაც შეეხება წინასწარ მონაცემებს, ამ მხრივ, საერთო სურათი კვლავაც უცვლელია – პირველ და მეორე ადგილებს სახელისუფლებო ბლოკი და "აღორძინება" იყოფენ. "ნაციონალური მოძრაობა" კი მესამე ადგილზეა. "რამდენიც არ უნდა ივაჭრონ პოლიტიკურმა პარტიებმა, ჩვენ მხოლოდ იმ მონაცემებს გამოვაქვეყნებთ, რაც რეალური იქნება", - ამბობს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნანა დევდარიანი.*

თამარ მჭედლიშვილი

გუშინ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში კვლავაც არ გამართულა სხდომა, რომელზეც კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის განსაზღვრის წესი უნდა დაედგინათ. ბუნებრივია, ცესკო საბოლოო მონაცემების გამოქვეყნებისაგან თავს ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური სიტუაციის გამო იკავებს. თანაც, ოფიციალურად, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არც აქვს შედეგების დაჯამების უფლება,

გაგრძელება A4 გვერდზე

# ოცდამეორე და... სამართალი

სოფო ბუკია

სენაკში ჰოლანდიური ჯიშის ძროხებთან ხანმოკლე ურთიერთობის შემდეგ პრეზიდენტის ვერტმფრენი "მისი მეგობარი ასლანის" მშობლიურ ქალაქ ბათუმში ეშვება. ბატონი ასლანი ბატონ ედუარდს საკუთარი ჯიპით ხვდება, თანაც საჭესთან თავად ზის, შინაურულად. ხელის მოქნილი მოძრაობით ბათუმელი მეგობარი თბილისელს მანქანაში ეპატიჟება, თითქოს ეუბნება: "რა ჩამოგიშვია ცხვირი, ჩაჯექი, აბა, რა გიჭირს, მომიყევი..."

რას უყვება შევარდნაძე აბაშიძეს, არავინ იცის. ჟურნალისტებს ასლან აბაშიძის რეზიდენციაში არ უშვებენ. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობს. ჟურნალისტებისთვის რაიმე ახსნა-განმარტებას ორი ცნობილი "ბაბუ" მოგვიანებითაც არ იმეტებს.

ყველაფერს ნათელი ეფინება მიტინგზე, რომელსაც შევარდნაძის გასამხნევებლად ასლან აბაშიძე ბათუმის ცენტრში აწყობს (შევარდნაძე, ამ ბოლო დროს, სხვის მიერ მოწყობილ მიტინგებზე სტუმრობას მიეჩვია). როგორც ირკვევა, ყველაფერი უფრო მარტივადაა, ვიდრე ამას ჟურნალისტები ვარაუდობდნენ. პრეზიდენტს, უბრალოდ, აჭარა მოენატრა, მოენატრა და მივიდა. **"ძვირფასო ქართველებო, ძვირფასო მეგობარო, ბატონო ასლან. დიახ, მე მივესალმები თქვენს ასლანს, მე მივესალმები ჩემს ასლანს... აჭარას არაერთხელ შეუტანია განსაკუთრებული წვლილი, როცა**

გაგრძელება A2 გვერდზე

# დათო ბერძენიშვილი: მძიმე არჩევანი

მაია ჭალაგანიძე

**- ამ ჯერზე, რას ნიშნავს შევარდნაძის ბათუმში ვიზიტი?**

- ეს ნიშნავს იმის დეკლარირებას, რაც ყოველთვის იყო - შევარდნაძე და აბაშიძე ერთად იყვნენ, დღესაც ერთად არიან და ერთად ემუქრებიან ქართველ ხალხს, რუსთაველზე შეკრებილ საზოგადოებას და ჩვენს მომხრეებს. ადგილი, შევარდნაძეს ერთადერთ ადგილზე შეუძლია ილაპარაკოს - ეს არის რუსის ჯარით დაცული აბაშიძის ტერიტორია. სხვაგან შევარდნაძე ვერსად ჩავა.

შევარდნაძემ ღიად გამოაცხადა: "მე და აბაშიძე ვართ ერთად". ხალხმა ოპოზიციური პარლამენტი აირჩია. შევარდნაძე და აბაშიძე კი გვეუბნებიან, რომ მათი ხელისუფლება კიდევ უფრო ძლიერდება... ეს მძიმე არჩევანია.

**- რეალურად რა საფრთხე შეიძლება დაემუქროს ოპოზიციას აჭარის ხელისუფლებისგან?**

- ისინი ჩვენ ბაქოს მოვლენების დატრიალებით გვემუქრებიან. მაგრამ, საქართველოში ბელგრადისა და ბუქარესტის მოვლენებს შორის მათი არჩევანის ალბათობა უფრო მაღალია. ვითარება ძალიან იძაბება, შევარდნაძე არ ტოვებს დიალოგის შანსს.

**- ცოტა ხნის წინ აბაშიძემ უფლებები გაიფართოვა. ერთადერთი, ვისაც ამის ალკვეთა შეუძლია, არის ხელისუფლება, რომელიც დღეს მის მოკავშირედ გამოდის. ეს ნიშნავს თუ არა იმას, რომ აჭარის მეთაურს უფლებები შეუნარჩუნდება?**

- რა თქმა უნდა, არა. ეს ხელისუფლება მოშორდება და აბაშიძეც ზედ მიჰყვება. აჭარას ვერავინ ვერ

გაგრძელება A3 გვერდზე

# „თქვენი მოსატყუებელი კბილები მოვიცვალეთ”

## ეუბნებიან ხელისუფლებას კახელები

ზვიად რუაძე

შევარდნაძის და მისი მთავრობის გადადგომის შესახებ ხმამაღალი განცხადებები გუშინ კახეთშიც კეთდებოდა. განსაკუთრებული აქტიურობით თელაველები გამოირჩეოდნენ. კახელების აღელვების მიზეზი გახდა თელავიდან თბილისისკენ მიმავალი სატვირთო მატარებელი, რომელსაც პანკისში განლაგებული მძიმე საბრძოლო ტექნიკა თბილისში გადაჰქონდა. ეს ფაქტი კონდოლის მოსახლეობამ პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე აქციას დაუკავშირა და დღის მეორე ნახევარში სარკინიგზო მაგისტრალი გადაკეტა. **“ძალიან კარგად ვიცით, რისთვის მიაქვთ ეს ტექნიკა თბილისში. შევარდნაძეს სურს, სისხლი დაიღვაროს. ჩვენ ამას არ დავუშვებთ,”** - აცხადებენ კონდოლელები.

აღშფოთებული მოსახლეობის დამშვიდებას ამაოდ ცდილობდა სამხარეო პოლიციის უფროსი ზურაბ ტუშური. იგი მოპიკეტეებს არწმუნებდა, რომ საბრძოლო ტექნიკა, რომელიც პანკისში სპეცოპერაციის დროს იყო განლაგებული, დისლოკაციის ადგილს – მუხროვანს უბრუნდებოდა. იგივეს უხსნიდა კონდოლელებს თელავის გამგებელი მედეა მეზვრიშვილი, რომელიც მოსახლეობის მხრიდან დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. **“კახელებმა თქვენი მოსატყუებელი კბილები გამოვიცვალეთ. ნუღარ ეცდებით ჩვენს დარწმუნებას, რომ ხელისუფლება თავის ხალხზე ზრუნავს. სანამ შევარდნაძე ქართველების სისხლს დაღვრის, კახელები მას ბოლოს მოვუღებთ!”**- ასე ემუქრებიან ქვეყნის პრეზიდენტს კონდოლელები.

პიკეტი, რომელშიც 200-მდე კაცი მონაწილეობდა, ერთ საათს გაგრძელდა. საბრძოლო ტექნიკით დატვირთული მატარებელი კი, შინაგანი ჯარების სარდლის გია შერვაშიძის ბრძანების შემდეგ, უკან, თელავის სარკინიგზო სადგურში დაბრუნდა. თუმცა, სოფლის მოსახლეობა ხელისუფლებას მაინც არ ენდო და სარკინიგზო მაგისტრალზე პიკეტირება დააწესა. **“მას შემდეგ გავატარებთ მატარებელს, როცა მოვლენები ჩაწყნარდება,”** - თადარიგს იჭერენ კონდოლელები.

# "დაიღლებიან და დაიშლებიან" - ასე ინუგეშებს თავს ხელისუფლება

მაია მოსიაშვილი

**"მე ვუერთდები იმ პოზიციას, რომ ეს არჩევნები არჩევნებად ვერ ჩაითვლება, რადგან სიების უზუსტობის გამო საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს არ ჰქონდა საშუალება, მონაწილეობა მიეღო კენჭისყრაში. რუსთაველები დაშანტაჟებულები იყვნენ იმ გარემოებით, რომ აქ ჩამოსული იყო "სპეცნაზი", საჯარისო ფორმირებები. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა, როცა რუსთავის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ჩამოართვეს ხმის მიცემის უფლება,"** - ასეთი განცხადება გააკეთა გუშინ დილით რუსთავის მერმა მერაბ ტყეშელაშვილმა, რომლითაც ის საბოლოოდ გაემიჯნა პრეზიდენტ შევარდნაძის ამჟამინდელ გუნდს. ის, შესაძლოა, თბილისში მომიტინგეებსაც შეუერთდეს, როგორც ერთი ჩვეულებრივი მოქალაქე, ხოლო თუ სიტუაცია გამწვავდება და რუსთაველი მოსახლეობა მერს ოპოზიციის აქციისადმი მხარდაჭერას მოსთხოვს, ტყეშელაშვილი არც ამაზე დაიხევს უკან.

**"ჩვენ საქმეს მივხედოთ და ყველაფერი დაწყნარდება. სეირის მაყურებლები გამოჩნდნენ, უყურებენ, რა იქნება ხვალ. ხვალ არაფერი იქნება, არაფერი შეიცვლება. დაიღლებიან და დაიშლებიან,"** - ასეთი იყო ქვემო ქართლის გუბერნატორის ზურაბ კობიაშვილის კომენტარი თბილისში მიმდინარე მოვლენებზე. მან გუშინ პოლიცია შეაქო და სტაბილურობის შენარჩუნების აუცილებლობაზე ისაუბრა. კობიაშვილი დარწმუნებულია, რომ **"ჭკუათმყოფელი ხალხი არ აჰყვება აშკარა, გამოკვეთილ ფაშისტურ მოწოდებებს,"** ის შესაშური ზედაპირულობით აფასებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს და გულისტკივილს გამოთქვამს "ბავშვებზე", რომლებიც რუსთაველზე დგანან - მეცოდებიან, გაცივდებიანო.

ქვემო ქართლის გუბერნატორი ამტკიცებს, რომ ასეთი დემოკრატიული არჩევნები აქამდე არ ჩატარებულა, ამიტომ ხელისუფლება დათმობაზე არ წავა. **"მივმართავ ყველას, ნუ გამოვლენ ქუჩაში და გაუფრთხილდნენ თავს,"** - აცხადებს კობიაშვილი. რა არის ეს, გაფრთხილება თუ მუქარა? ხელისუფლება ამას ხალხზე ზრუნვას უწოდებს, თუმცა იმავე ხალხის გასაჭირი და მოთხოვნები მისთვის უცხო და მიუღებელია.

# ორშაბათი პრეზიდენტის რადიოინტერვიუს გარეშე

გუშინ საქართველოს მოსახლეობას არატრადიციული ორშაბათი გაუთენდა. მას არ ჰქონდა შესაძლებლობა საქართველოს პრეზიდენტის რადიოინტერვიუსთვის მოესმინა. ედუარდ შევარდნაძემ საკუთარ თავს “რეგიონული არდადეგები” გამოუცხადა. პრეზიდენტის მარშრუტი სამეგრელოდან დაიწყო. სენაკში ჩასულ ედუარდ შევარდნაძეს აეროპორტში დახვდნენ პრეზიდენტის რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში ბონდო ჯიქია, ფოთის მერი დავით ქანთარია, აგრეთვე, სენაკისა და სხვა რაიონების გამგებლები და პოლიციის უფროსები.

შევარდნაძემ ყვავილებით შეამკო ჟიული შარტავას ძეგლი. ძეგლიდან, დაახლოებით, 30 მეტრის მოშორებით, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტის ესკორტი გამოჩნდა, “ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტებმა დროშების ფრიალით და შეძახილებით შევარდნაძესთან მიახლოება სცადა. მათ ასევე უნდა შეერთებოდნენ “ბურჯანაძე-დემოკრატების" წარმომადგენლები, მაგრამ პოლიციამ ცოცხალი კორდონი აღმართა, რასაც აქციის მონაწილეებსა და სამართალდამცველებს შორის შეხლა-შემოხლა მოჰყვა.

ფორმაში ჩაცმული პოლიციელების გარდა, საკმაოდ აქტიურობდა ახალგაზრდების ჯგუფი, რომელიც ძალიან აგრესიულად იქცეოდა. მათ რამდენიმე დემონსტრანტს დროშები გადაუმტვრიეს, ქალებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. იმავე ადამიანებმა ოპერატორებს ვიდეოკამერები და კასეტები წაართვეს. დაზარალდნენ ტელეკომპანიების “იმედის", “მზის", “რუსთავი-2"-ის, “იბერიის" და პირველი არხის წარმომადგენლები.

პოლიციელთა მტკიცებით, მათ კამერებისთვის ხელი არ უხლიათ. "ჩვენთვის უცნობია, ვინ იყვნენ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პირები," - თავს იმართლებდნენ პოლიციელები.

ამ ინციდენტს პრეზიდენტისთვის ხელი არ შეუშლია, სენაკში ხალიჩების კომბინატი, ხოლო შემდეგ ქალაქის გარეუბანში მდებარე მეცხოველეობის ფერმა მოინახულებინა.

ფერმის დატოვების შემდეგ პრეზიდენტმა ბათუმისკენ აიღო გეზი. **ინტერ-პრესი**

# დუმილი დანაშაულის ტოლფასია

## ფიქრობენ ქუთაისელი სტუდენტები

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

"ედიკა, საქართველო შენით დაიღალა!" "კმარა შევარდნაძისა და აბაშიძის დიქტატურა!" "ძირს შევარდნაძე და მისი კლანი!" - აღნიშნული ლოზუნგებით შეიარაღებული ქუთაისელი სტუდენტები და "კმარას" აქტივისტები ქუთაისის ცენტრში, დავით აღმაშენებლის მოედანზე შეიკრიბნენ და პარლამენტის წინ მიმდინარე აქციას სოლიდარობა გამოუცხადეს. სტუდენტები ედუარდ შევარდნაძის გადადგომას და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას მოითხოვენ.

**"ეს აქცია მიზნად ისახავს, მხარი დავუჭიროთ თბილისში მიმდინარე აქციას. ჩვენთვის სულ ერთია, რომელი პარტია შემოგვიერთდება და სოლიდარობას გამოგვიცხადებს... როცა მშვიდობიან მიტინგს ესვრიან, პრეზიდენტი კი აცხადებს, რომ იგი არ არის პასუხისმგებელი, როდესაც ნახევარი საქართველო საარჩევნო სიებში არ არის და თურმე პრეზიდენტი არც ამაზე ყოფილა პასუხისმგებელი, მაშინ ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ უპასუხისმგებლო პრეზიდენტის გადაყენება მოვითხოვოთ,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ქუთასის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა ზურაბ ნიშნიანიძემ.



*ქუთაისელი სტუდენტები თბილისში ჩამოსვლას მშობლიურ ქალაქში ამჯობინებენ პროტესტის გამოხატვას.*

სტუდენტები, შევარდნაძის გადადგომასთან ერთად, საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვების აღიარებასაც მოითხოვდნენ. მათ გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ, თბილისში მიმდინარე აქციასთან მიერთების ნაცვლად, ქუთაისში უნდა მოაწყონ სისტემატური მიტინგები და ხელისუფლებას ოპოზიციის ძალა რეგიონებშიც აჩვენონ.

**"ჩვენ პირველ რიგში ვაპროტესტებთ იმას, თითქოსდა ქუთაისელი ახალგაზრდები აქტიურები არ არიან. ვაცხადებთ, რომ ჩვენს ახალგაზრდობას შეუძლია პროგრესულად იაზროვნოს და პროტესტი გამოხატოს. ხვალ და ზეგ უფრო მეტი და უფრო მძლავრი ძალა გავხდებით. დღეს საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება და ამაზე დუმილი დანაშაულის ტოლფასია!"** - აცხადებდა ფილოლოგიის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ვანო ბუხაიძე. სტუდენტები და "კმარას" აქტივისტები ქუთაისში დღეს უფრო ფართომასშტაბიანი აქციის ჩატარებას გეგმავენ.

# ოცდამეორე და... სამართალი

პირველი გვერდიდან

**საქართველოს მართლაც უჭირდა. ვინც კარგად იცნობს მემედ აბაშიძის ანდერძს, ის დარწმუნდება, რომ სწორედ მემედმა უანდერძა აჭარას და მთელ საქართველოს ერთიანობა. დღეს აჭარა მაგალითს აჩვენებს სრულიად საქართველოს: აქ აშენდა საავადმყოფოები, ბაგა-ბაღები... თუ არ ვცდები, ეს ჩემი ოცდამეორე ჩამოსვლაა აჭარაში. ნეტა, მქონდეს იმის ბედნიერება, რომ ყოველ კვირას თქვენთან ვიყო... საქართველომ უძნელეს წლებში აირჩია თავისუფლების, დემოკრატიის გზა. ამ გზიდან საქართველო არასოდეს გადაუხვევს... იმან, ვისაც საქართველოზე გული სტკივა, უარი უნდა თქვას დემაგოგიაზე, იაფფასიან დაპირებებზე. დემაგოგიის წყალობით ქვეყნის აყვავება შეუძლებელია... საქართველოში დაიწყო აღმავლობა. თქვენ პირველი ნაბიჯები გადადგით ამ გზაზე. ჩვენ ერთად დავადექით სწორ გზას. მხოლოდ წინ ვიაროთ, მხოლოდ და მხოლოდ წინ. მე კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გითხრათ, ბათუმელებო, მშობლიურო აჭარავ, ძვირფასო ასლან, იმიტომ, რომ თქვენ ერთგული ხართ საქართველოს ერთიანობის... ვერავინ ვერ გაგვყრის, ჩვენ ერთად ვართ,”** – საინტერესოა, ბატონო პრეზიდენტო, ვის და როდის შეეპარა ეჭვი საქართველოს ერთიანობაში?

შემდეგ მიკროფონთან მიდის გუშინდელი ბათუმური მიტინგის კონფერანსიე ჯემალ გოგიტიძე და ტრიბუნას “ძვირფას ასლანს” უთმობს.

**“ჩვენს საქართველოს მუდამ ჰყავდა და მუდამ ეყოლება შიდა და გარე მტერი. დღესაც იგივეა, დღესაც გვიტევენ შიგნიდან და გარედან. ჩვენ აბსოლუტური მხარდაჭერა გვაქვს მოსახლეობის, ეს გვმატებს ძალას... ჩვენ მტკიცედ დავიცავთ ჩვენს ერთიანობას და, პრეზიდენტის სიტყვებისა არ იყოს, ჩვენ არ გადავუხვევთ იმ გზიდან, რომელიც აირჩია ხელისუფლებამ. ეს არის გზა დემოკრატიისა... თქვენ ატყობთ, რა მიზნები ამოძრავებთ ნაციონალისტებს... დღეს ისინი ხელისუფლებაში არ არიან და უკვე იმუქრებიან კონკრეტული ადამიანების დაპატიმრებით, უტევენ აჭარას, აბუჩად იგდებენ ნაციებს და ერებს. დაუფიქრდით და განსაზღვრეთ, რას მოგვიტანს მათი ხელისუფლებაში მოსვლა. ეს იქნება კატასტროფა, რომელიც მაჯლაჯუნასავით დააწვება ათეული წლები საქართველოს, მის ყოფას, ერთიანობას, სიმტკიცეს. ჩვენი ვალია, დავდგეთ იქ, სადაც კანონიერი ხელისუფლებაა, დავიცვათ იგი დღეს, ხვალ, ზეგ... იდექით მტკიცედ და შეურყევლად...”** – საინტერესოა, ასლან აბაშიძის მიერ ხსენებული კანონიერი ხელისუფლება თავად როდის მოიცლის ხალხის დასაცავად? ბატონო ასლან, ჩვეულებრივ, კანონიერი ხელისუფლება დგას ხოლმე ხალხის კეთილდღეობის სადარაჯოზე და არა პირიქით.

ორი მეგობრის გამოსვლებისას მომიტინგეები დაუღალავად სკანდირებდნენ “ბაბუ! ბაბუ!” ჟურნალისტების კითხვაზე, ვინ არის ბაბუ, მომიტინგეები პასუხობდნენ – ჩვენი ასლან აბაშიძე. თბილისელი “ბაბუ” გუშინ არავის უხსენებია, ასე იცის სხვის მიტინგებზე შევლამ...


*დიდი ბაბუს ოცდამეორე აუდიენცია პატარა ბაბუს კარზე.*


*პრეზიდენტები.*

## მოკლედ

### მიხეილ მაჭავარიანი და მისი თანამოაზრეები საოლქო სასამართლოს პიკეტირებას აპირებენ

ბლოკ “ბურჯანაძე-დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ მაჭავარიანი და მისი თანამოაზრეები დღეს საოლქო სასამართლოს შენობის პიკეტირებას აპირებენ.

სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი მიხეილ მაჭავარიანი აცხადებს, რომ ხელისუფლება მისთვის სადეპუტატო მანდატის წართმევას და მისი კონკურენტის, პანტიკო თორდიას გადეპუტატებას სასამართლოს დახმარებით ცდილობს.

მაჭავარიანის მტკიცებით, პირადად სახელმწიფო მინისტრის რწმუნებით სასამართლოში შეტანილია სარჩელი, რათა გაუქმდეს მე-20 და 29-ე საარჩევნო უბნების შედეგები, სადაც მაჭავარიანმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. “ვაფრთხილებთ სასამართლოს, არ მიიღოს მონაწილეობა ამ ბინძურ საქმეში და მოგვცეს საშუალება, პატიოსან ბრძოლაში გამოვლინდეს გამარჯვებული," - აღნიშნავს მაჭავარიანი. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფების შტაბში უარყოფენ ქართული მასმედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ჯარების გაზრდილ საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანის თაობაზე. საპარლამენტო არჩევნების ფონზე ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის დაპირისპირების გამწვავებასთან დაკავშირებით “სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსეთის ჯარები მის საშინაო საქმეებში არ ერევიან", - აცხადებს რუსეთის ჯარების დაჯგუფების შტაბის პრესსამსახურის უფროსი ალექსანდრე ლუცკევიჩი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანება “ახალი მემარჯვენეები" ახალ ოპოზიციურ ფრონტთან (“მრეწველები”, “აღორძინება”, “ლეიბორისტები”) გაერთიანებას არ აპირებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** “სახალხო პარტიის" ლიდერი, საარჩევნო ბლოკის “ერთობის" წევრი მამუკა გიორგაძე ოპოზიციური პარტიების ორგანიზებით საქართველოს პარლამენტის შენობასთან მიმდინარე საპროტესტო აქციას უახლოეს დღეებში კრახით დასრულებას უწინასწარმეტყველებს, იმ შემთხვევაში, თუ აქციის ორგანიზატორები სხვა ოპოზიციური ძალების შემოერთებას ვერ შეძლებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დედაქალაქის მერი ვანო ზოდელავა ხელახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნაში ტრაგედიას ვერ ხედავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** გუშინ ქუთაისის ცენტრში ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 200-მდე სტუდენტმა აქცია გამართა. მათ მოძრაობა “კმარას" აქტივისტებიც შეუერთდნენ. აქციის მონაწილეებმა სოლიდარობა გამოუცხადეს თბილისში პარლამენტის წინ მიმდინარე აქციის წევრებს და დასავლეთ საქართველოში ედუარდ შევარდნაძის ვიზიტი გააპროტესტეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის თითქმის ყველა წარმომადგენელი მიმდინარე მოვლენებზე სასაუბროდ “ნაციონალური მოძრაობის" ლიდერს მიხეილ სააკაშვილს შეხვდა. დახურულ კარს მიღმა გამართული ერთსაათიანი შეხვედრის შემდეგ დიპლომატებმა კომენტარები არ გააკეთეს. კომენტარისგან თავად მიხეილ სააკაშვილმაც თავი შეიკავა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აჭარაში არ არსებობს სეპარატიზმის იდეა, იქ მხოლოდ ასლან აბაშიძის სეპარატისტული ხელისუფლება არსებობს, - აცხადებს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი ლევან ბერძენიშვილი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელისუფლებო ბლოკის სპიკერი ირინა სარიშვილი ამტკიცებს, რომ საქართველოში მიმდინარე მოვლენების უკან გარეშე ძალები დგანან, რომლებიც აშშ-ს და რუსეთის წარმოადგენენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ექს-პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მრჩეველი ეროვნულ უმცირესობათა და პოლიტიკურ საკითხებში, პოლიტოლოგი გიორგი გაჩეჩილაძე ხელისუფლებას კომპრომისისკენ და მოსახლეობის მოთხოვნების გათვალისწინებით რეალური მოქმედებებისკენ მოუწოდებს. მისი პროგნოზით, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით მოსახლეობის პროტესტი შეიძლება “გაცილებით მეტი ტრაგიკულობით დასრულდეს, ვიდრე ეს ხელისუფლებას წარმოუდგენია". **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# დათო ბერძენიშვილი: მძიმე არჩევანი

პირველი გვერდიდან

მოიკიდებს ზურგზე და ვერ გიყვანს საქართველოს შემადგენლობიდან. ასლან აბაშიძის ხელისუფლების სეპარატიზაცია 12 წელი მიმდინარეობს. ეს არის ხელისუფლების სეპარატიზაცია. სულ მალე საქართველოში ის ხელისუფლება იქნება, ვინც შევარდნაძის და აბაშიძის ალაგმვას შესძლებს.

**- არის თუ არა რეალური საშიშროება იმისა, რომ აბაშიძემ აჭარის ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის ჯარი მიაშველოს პრეზიდენტ შევარდნაძეს მშვიდობიანი აქციის დასასჯელად?**

- ასლან აბაშიძეს მხოლოდ რუსი ინსტრუქტორები და მათ მიერ გაწვრთნილი რამდენიმე ასეული კაცი ჰყავს. ისინი ეცდებიან პროვოკაციების დადგმას. თბილისზე მარშით ისინი ვერ წამოვლენ.



**- რას დაუპირისპირებს ოპოზიცია ხელისუფლების ამგვარ პოლიტიკას?**

- შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნას. ის სხვა შანსს არ ტოვებს. მას ჯერ კიდევ გუშინ ჰქონდა სხვაგვარი შანსი. ბათუმში ჩასვლა კი იმას ნიშნავს, რომ ის სხვა შანსის გამოყენებას არ აპირებს. მას აქვს სიტუაციის განმუხტვის თეორიული შესაძლებლობა - ეს არის არჩევნების რეალურ სურათთან შედარებით მიახლოებული სურათი. თუ ის ამაზე არ წავა და როგორც ჩანს, ის ფიქრობს, რომ ეს მას გაუვა - მილოშევიჩის ხვედრი ელის... ეს სრულიად რეალურია.

**- რა განწყობაა აჭარაში. ხომ არ გაიზიარებს აჭარის მოსახლეობა ხელისუფალთა პროვოკაციას?**

- რა თქმა უნდა, მოსახლეობის რეალური განწყობა ვიცი და ეს ასლან აბაშიძემაც იცის. ბათუმში 23 000 ხმა მივიღე. ბათუმში ყველამ იცის, რომ არჩევნები მოვიგე. "ნაციონალურმა მოძრაობამ" 40 პროცენტი აიღო, ხოლო ჩვენს პარტნიორებთან ერთად ნახევარზე მეტი ხმა ავიღეთ. ასეთივე ვითრებაა ქობულეთში.

აბაშიძემ ვერ შეკრიბა ხალხის ის რაოდენობა, რომელიც რუსთაველზე შეკრებილი ხალხის თუნდაც, ნახევარი იქნებოდა. მთელი აჭარიდან არის ხალხი მობილიზებული. ეს არის აბაშიძის ხელისუფლების სეპარატიზაცია და ის, ვინც მიტინგის პირველ რიგებში განსაკუთრებით ბევრს ყვიროდა "ბაბუ, ბაბუ-ს" - აბაშიძის კორუმპირებული, ბანდიტური ხელისუფლებაა. შეიარაღებული რაზმების მწვრთნელები და ოფიციალური ხელმძღვანელები რუსის ოფიცრები არიან.

იმ ხალხშიც კი, ვინც იქ დგას, ძალიან ბევრმა არ მისცა ხმა "აღორძინებას". არავითარი საფრთხე იმისა, რომ აჭარის მოსახლეობა მხარს აბაშიძეს დაუჭერს, არ არის.

# გია ნოდია: აბაშიძესთან ჩასვლით, სახელმწიფოს პოლიტიკური კურსიც იცვლება

## ახლა შევარდნაძე გაძლებაზე და დროის მოგებაზე თამაშობს

მაია ჭალაგანიძე

**- იწყება თუ არა პროტესტის ახალი ეტაპი პრეზიდენტსა და ოპოზიციის ლიდერთა შორის არშემდგარი მოლაპარაკებების შემდეგ?**

- თუ ახალი ეტაპი იწყება, ეს - ხანგრძლივი აქციების ეტაპი იქნება. ყოველ შემთხვევაში, ხალხს კიდევ ჰქონდა მცირე იმედი, რომ აქციებით რაიმეს მალე მიაღწევდა. შევარდნაძემ ნათლად აჩვენა, რომ არ აპირებს, დაეთანხმოს რაღაც ისეთს, რაც მომიტინგეებს საშუალებას მისცემს, დაიშალონ ისე, რომ თავი დამარცხებულად არ იგრძნონ. ამიტომ, ახლა შევარდნაძე გაძლებაზე და დროის მოგებაზე თამაშობს.

პრეზიდენტი, ერთი მხრივ, შეიძლება აბაშიძესთან ათანხმებს კიდეც თავის შემდგომ ნაბიჯებს იმიტომ, რომ დღეს მოკავშირე ის არის, მაგრამ ამ ვოიაჟების ძირითადი მიზანი სტრატეგიულია - მომიტინგეები დაიღლებიან, ან შესცივდებათ და დაიშლებიან. ან - მათი რადიკალური ნაწილი ვითარებას გაამწვავებს და პოლიციას საპროტესტო აქციის დარბევის საბაბი მიეცემა.

აქციის მონაწილეთა სტრატეგია (ჯერჯერობით, ასე ჩანს), პროტესტის ამ ფორმის შენარჩუნება გახლავთ. თუ ეს აქციები არ გაფართოვდა, გამარჯვების იმედის მიცემა რთული იქნება.

**- რა არის დღეს ოპოზიციის უპირველესი ამოცანა?**

- ერთი მხრივ, ფორმის შენარჩუნება და მეორე მხრივ - სტრატეგიის შემუშავება. ოპოზიცია ორგანიზებული უკანდახევისთვის იმ გაგებით უნდა მოემზადოს, რომ სწორი არ იქნება, არ შევიდეს პარლამენტში და არ იმუშაოს. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებას 2/3 და პარლამენტზე სრული კონტროლი არ ჰქონდეს. ამიტომ, ცხადია, ოპოზიციამ იმაზეც უნდა იმუშაოს, თუ როგორ იმოქმედებს ასეთ ვითარებაში. ეს ორი ძალა - "ნაციონალები" და "ბურჯანაძე-დემოკრატები" - მაქსიმალურად უნდა ეცადოს გაერთიანებას და ერთიანი, მტკიცე სტრატეგიის ქონას, რაც არც ისე ადვილია მათთვის, რადგან მათ შორის აზრთა სხვადასხვაობა და გარკვეული უნდობლობაც არსებობს. დღეს აშკარაა, რომ ოპოზიციას ერთიანობის გარდა სხვა გზა არა აქვს.

**- იყო თუ არა ხელისუფლების სტრატეგიული შეცდომა აჭარაში ვიზიტი და რა შეიძლება მოუტანოს ამან შევარდნაძეს?**

- დღეს შევარდნაძეს ძალზე მცირე რესურსები აქვს და სხვა გამოსავალი, გარდა იმისა, რომ ასლან აბაშიძეს მჭიდროდ ეთანამშრომლოს, არ გააჩნია. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ და მხოლოდ აღრმავებს მის არაპოპულარობას თბილისში. ეს არა მარტო აბაშიძესთან ჩასვლაა, არამედ იმის განაცხადიც არის, რომ სახელმწიფოს პოლიტიკური კურსიც იცვლება; იმ დემოკრატიულ მონაპოვარზეც (რაც ასე თუ ისე არსებობს), უარის თქმის აშკარა საფრთხე არსებობს. რა თქმა უნდა, შევარდნაძე გარკვეულ რისკზე მიდის, მაგრამ მას სხვა გამოსავალი არა აქვს.

**- გამოიღებს თუ არა ეს რისკი შევარდნაძისთვის სასურველ შედეგს?**

- მას, პირველ რიგში, პარლამენტში "აღორძინებასთან" თანამშრომლობა სურს. უნდა აირჩიოს ისეთი სპიკერი, რომელიც მას აძლევს ხელს. ეს ვიზიტი ამგვარ ტაქტიკურ შედეგებს, ალბათ, გამოიღებს. შეიძლება, საზოგადოების შეშინებაც აქვს მიზნად, იმის ჩვენება, რომ დანარჩენ საქართველოშიც ისეთი წესრიგი იქნება, როგორიც ბათუმშია... თუმცა, შეშინდება თუ არა საზოგადოება, ეს კიდევ საკითხავია.

**- როგორია პრეზიდენტის პოპულარობის ხარისხი აჭარაში იმ ფონზე, რომ აქამდე "აღორძინება" ცენტრისგან და შევარდნაძისგან მუდმივ მტრის ხატს ქმნიდა?**

- არა მგონია, რომ შევარდნაძეს ბათუმში რაიმე პოპულარობა ჰქონდეს. არა მგონია, რომ თავად აბაშიძეს ჰქონდეს ძალიან მაღალი პოპულარობა, თუმცა, იმაზე მაღალი კი აქვს, ვიდრე შევარდნაძეს თბილისში - ამაზე არავინ დავობს. თუმცა, არც თავისთავად ცხადად უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ აბაშიძე ბათუმში ძალიან პოპულარულია. შევარდნაძეს პოპულარობაზე სულაც არ აქვს პრეტენზია. მას ერთადერთი პრეტენზია აქვს - ძალაუფლებისა და პოზიციების შენარჩუნება.

# აკაკი ბაქრაძის ჩანაწერები

## 1998-1999 წლების ბლოკნოტიდან

პირველი გვერდიდან

აფხაზეთი, პასუხს არ ვაგებთ. დაიკარგა "სამხრეთ ოსეთი", პასუხს არ ვაგებ, მრეწველობა არ მუშაობს, პასუხს არ ვაგებ... და ა.შ. ჯარისკაცმა აგოს პასუხი, მუშამ აგოს პასუხი, გლეხმა აგოს პასუხი...

უზნეობას თანაბრად ნერგავს პრესა და ხელისუფლება.

■ ■ ■

რა ხდება დღეს საქართველოში? ზუსტად ის, რაც ხდებოდა ფეოდალურ საქართველოში. პროვინციის (საერისთაოების) მმართველები სარგებლობდნენ ცენტრალური ხელისუფლების (მეფის) უძლურებით და ცდილობდნენ თავი დამოუკიდებლად ეგრძნოთ. არ დამორჩილებოდნენ ცენტრს. დღესაც პროვინციის მმართველები (აჭარა, აფხაზეთი, ე.წ. "სამხრეთ ოსეთი") ხედავენ ცენტრის (თბილისის ხელისუფლების) უძლურებას და გარბიან.

არა და როგორ ებრძვის ცენტრალური ხელისუფლება ამ ტენდენციას? ზუსტად ისე, როგორც უძლური მეფე ებრძოდა - ხვეწნა-მუდარით - არ გაიქცეთ, ქვეყანა არ დაშალოთო. მაგრამ ეს ამაო მცდელობაა. პოლიტიკური ეგოიზმი საქართველოში მოურჩენელი ავადმყოფობაა. ამის გამო საქართველოს დაშლა გაგრძელდება. ასე რომ მოხდებოდა, ეს ყოველი პოლიტიკოსისათვის, რომელსაც ისტორიის პროცესის აზრი ესმის, ცხადი და ნათელი იყო (გამსახურდია რუსის ბრძანებით აკეთებდა აბაშიძის დანიშვნას, არძინბას დანიშვნას).

დავით აღმაშენებელმა ბაღვაშებთან ბრძოლაში არანაკლები ენერგია დახარჯა, ვიდრე გარეშე მტრებთან.

საქართველოს საბედისწერო ავადმყოფობაა პოლიტიკური ეგოიზმი. საქართველო მთელი მისი გრძელი ისტორიის მანძილზე ერთადერთ კაცს იცნობს, რომელიც პოლიტიკური ეგოიზმით არ ყოფილა ავად - იოანე მარუშის ძეს. ეს უცნაური მოვლენა იყო. ამისათვის ქართველ მემატიანეებს სძულთ იგი. ერთი ფრაზით არის მოხსენიებული ქართლის ცხოვრებაში.

პოლიტიკური დაშლა საქართველოსი მონღოლებს არ უნდოდათ. მაგრამ დავით ნარინი მაინც გაიქცა დასავლეთ საქართველოში. არაფერი აუცილებლობა არ არსებობდა, მაგრამ დავით ნარინისა და დავით ულუს პოლიტიკური ეგოიზმი ერთმანეთს ვერ შეეთვისა.

პოლიტიკური ეგოიზმის დროებითი აღმოფხვრა მხოლოდ იმ გზით შეიძლება, რასაც დავით აღმაშენებელი და გიორგი ბრწყინვალე მიმართავდნენ - მტრის განადგურებით. პოლიტიკური ეგოიზმი ყველაზე დაუძინებელი მტერია საქართველოსი. მაგრამ მაშინ დავით აღმაშენებელი და გიორგი ბრწყინვალე უნდა იყო. ეს კი მეტად იშვიათია.

■ ■ ■

გორბაჩოვის გუნდს, რომელშიც შევარდნაძეც შედიოდა, ისე დაემართა, როგორც იმ ბავშვს, რომელიც საათს დაშლის, ვეღარ ააწყობს, ნაწილები მორჩება და გადაყრის, საჭირო არ ყოფილაო. სსრკ-ს გაუმჯობესება კი უნდოდათ, მაგრამ არ იცოდნენ - როგორ. როცა უნებლიეთ დაეშალათ, მერე კვეხნა დაიწყეს - ჩვენ დავშალეთო.

■ ■ ■

შევარდნაძემ ახალი ქვეყნის შენება არ იცის, თორემ მეტოქეების მოცილების ხელოვნებას ჩინებულად ფლობს.

■ ■ ■

საბჭოთა სკოლას, როგორც იდეოკრატიული სახელმწიფოს სკოლას, თავის დოგმები ჰქონდა. ამ დოგმების შესაბამისად ზრდიდა ახალგაზრდობას. ეს თარგები სამუდამოდ ებეჭდებოდათ თავში ახალგაზრდებს. იყო თითო-ოროლა, რომელიც მოწიფულობის ასაკში ცდილობდა ამ დოგმების გადაფასებას, თავად უნდოდა მიეგნო სიმართლე, გაერჩია მტყუანი და მართალი, მაგრამ ეს ძალიან მცირე რაოდენობა იყო. ლიანგი დოგმებს ებღაუჭებოდა და მათ შესაბამისად აზროვნებდა. შევარდნაძეც ასეა. ისიც დოგმების შესაბამისად აზროვნებს. არ უძებნია სიმართლე: არ ცდილა, თავად გარკვეულიყო, რაშია საქმე. მას სკოლაში ასწავლეს, აფხაზეთი აფხაზეთია და საქართველოსთან კავშირი არა აქვს. შიდა ქართლში ოსეთი მდებარეობს და მას საქართველოსთან კავშირი არა აქვს. ამიტომ ამ ტერიტორიების მიმართ იგი გულგრილია. არ განიცდის, როგორც საკუთარს. რაკი არ განიცდის, არც მის დასაბრუნებლად იწუხებს თავს. მისთვის უცნობია - რა არის საქართველო.



# ცესკო სასამართლოებისა და შევარდნაძის გადაწყვეტილებების მოლოდინში

პირველი გვერდიდან

რადგან საოლქო სასამართლოები, ფაქტობრივად, წალეკა პარტიების საჩივრებმა.

ამ მხრივ, განსაკუთრებით იაქტიურეს სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლებმა. ხოლო ქუთაისში, ქვეყნის მეორე ქალაქში თავი გამოიდეს "ლეიბორისტებმა" და "აღორძინებამ". ისინი პროპორციული და მაჟორიტარული არჩევნების შედეგების ბათილად ცნობას ითხოვენ (შეგახსენებთ, ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიამ მაჟორიტარულ არჩევნებში გამარჯვებულად პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ცნო).

არჩევნების გადახედვის შესაძლებლობა არსებობს სამგორის, დმანისის, ასპინძის, სამტრედიის, რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიებშიც. ნანა დევდარიანის განცხადებით, ეს საჩივრები აუცილებლად შესასწავლია. მისივე თქმით, ბევრი საჩივარი მას ობიექტურად ეჩვენება. ეს, განსაკუთრებით, რუსთავში გამართული კენჭისყრების შედეგებს ეხება.

კულუარებში საუბრობენ მოვლენების განვითარების ერთ-ერთ სცენარზე, რომლის თანახმად, ხელისუფლება არ დათანხმდება არჩევნების არასამართლიანად ღიად ცნობას. თუმცა, რამდენიმე ოლქში ხელახალი არჩევნები მაინც გაიმართება და მისი შედეგები საერთო სურათს შეცვლის. ეს კი მას მერე მოხდება, როცა სასამართლოები უკვე გამართული არჩევნების შედეგებს გააუქმებენ.

სხვათა შორის, ამ ვერსიას ირიბად სახელმწიფო მინისტრის კომენტარიც ადასტურებს. **"ნებისმიერ პარტიას, თუ პოლიტიკურ გაერთიანებას, რაიმე პრობლემის შემთხვევაში, შეუძლია სასამართლოს მიმართოს და არა ხელისუფლებაზე ზეწოლა განახორციელოს,"** – აცხადებს ავთანდილ ჯორბენაძე, რომლის თქმითაც, წელს საქართველოში ყველაზე დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა, თუნდაც იმიტომ, რომ ხელისუფლებამ მხოლოდ 25 პროცენტი, ოპოზიციურმა პარტიებმა კი - 75 პროცენტი მოაგროვეს. მისივე თქმით, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება არ ჩაერევა იმ პროცესებში, **"სადაც ჩარევის უფლება არ გააჩნია და პრეზიდენტი ცესკო-ზე ვერანაირ ზეგავლენას ვერ მოახდენს. ჩვენი მცდელობა ოპოზიციასთან დიალოგის გამართვის თაობაზე დღის წესრიგში რჩება,"** – ასეთია სახელმწიფო მინისტრის ოფიციალური პოზიცია.

რაც შეეხება ცესკო-ში არსებულ წინასწარ შედეგებს, გუშინ საღამოსთვის იგი ასე გამოიყურებოდა:

**კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა** – *1 850 351*

**ბლოკი "ახალი საქართველოსთვის" – 380 827 ხმა, "დემოკრატიული აღორძინების კავშირი" – 347 645 ხმა, "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" – 90 815 ხმა, "საქართველოს ლეიბორისტული პარტია" – 225 924 ხმა, "სააკაშვილი - ნაციონალური მოძრაობა" – 335 283 ხმა, "ბურჯანაძე – დემოკრატები" – 150 751 ხმა, "ახალი მემარჯვენეები" – 123 832 ხმა.**

# "ნაციონალები" ახალ სტრატეგიაზე ფიქრობენ

გუშინ, 14 საათზე, საკრებულოს სხდომათა დარბაზში "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები შეიკრიბნენ. მიხეილ სააკაშვილმა, ვანო მერაბიშვილმა, რომან გოცირიძემ, კობა ბექაურმა, პეტრე ცისკარიშვილმა და ზაზა ბეგაშვილმა უახლოესი მომავლის სამოქმედო გეგმაზე ისაუბრეს. საქართველოს პრეზიდენტის ბათუმური ვიზიტის და შევარდნაძე-აბაშიძის ალინსის აფიშირების შემდეგ, "ნაციონალებმა" ახალ სტრატეგიაზე დაიწყეს ფიქრი. კონკრეტულად რა ნაბიჯების გადადგმას აპირებს მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი, რით დაუპირისპირდება აჭარაში გაჭრილი პრეზიდენტის შესაძლო ქმედებებს, ჩვენთვის უცნობია, ვინაიდან ორგანიზაციული საკითხები, რომლებიც გუშინ სააკაშვილმა რამდენიმე თანაპარტიელთან ერთად შეიმუშავა, სრულიად გასაიდუმლოებული დარჩა. "24 საათის" ინფორმაციით, შეკრებას "ბურჯანაძე-დემოკრატების" არც ერთი წარმომადგენელი არ ესწრებოდა.

*24 საათი*

# "ნეიტრალური" "მემარჯვენეები"

*"არც შევარდნაძე, არც ბურჯანაძე-დემოკრატები და სააკაშვილი," - ასეთი "მესამე გზა" ახლა უკვე "ახალმა მემარჯვენეებმა" აირჩიეს. გვერდზე განდგომის მიზეზი, პარტიის ლიდერების განმარტებით, ყოფილი პარტნიორების მიერ ბოლო დროს არჩეული პოზიციები გახდა.*

ლელა მჭედლიძე

როგორც თავად აცხადებენ, "ახლებმა" ქუჩის აქციებისა და ძალადობისაგან გამიჯნვა გადაწყვიტეს. დავით გამყრელიძე და ლევან გაჩეჩილაძე "საარჩევნო ქაოსის" გამო პასუხისმგებლობას კვლავაც ხელისუფლებას აკისრებენ, თუმცა, აცხადებენ, რომ ახლა ოპოზიციას და ხელისუფლებას შორის სავარძლების გამო ბრძოლაა გამართული. **"ერთი მხარე სავარძლების შესანარჩუნებლად იბრძვის, მეორე - მის მოსაპოვებლად... თავად ოპოზიციაშიც არ არსებობს ერთიანობა. "ნაციონალური მოძრაობა" მისი გამარჯვების აღიარებას ითხოვს, "ბურჯანაძე-დემოკრატები" - არჩევნების შედეგების გაუქმებას... "ბურჯანაძე-დემოკრატები" რევოლუციურ ცვლილებებს გვპირდებოდნენ, თუმცა, ამის ნაცვლად რევოლუციას მივიღებთ. რევოლუციას კარგი არაფერი მოუტანია და არც ახლა მოიტანს, ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის კიდევ უფრო დამძიმების გარდა... ეს ყველაფერი სოციალისტურ რევოლუციას ჰგავს და არა ზვიად გამსახურდიას დროინდელ პერიოდს. ძალიან გთხოვთ, ამგვარ პარალელებს ნუ გაავლებთ"... -** ასეთი იყო გამყრელიძე-გაჩეჩილაძის შეფასება. ოპოზიციასთან, უფრო ზუსტად, "ბურჯანაძე-დემოკრატებთან" ბოლო ხანებში მეტ-ნაკლებად შეხმატკბილებული "ახლები" გუშინ უფრო შორეულ წარსულს იხსენებდნენ, იმ დროს, როცა ოპოზიციის ლიდერები "მოქალაქეთა კავშირის" და საპარლამენტო უმრავლესობის წევრები იყვნენ, რომელიც, "მემარჯვენეთა" შეხსენებით, სწორედ მათი დიდი მცდელობის შედეგად დაიშალა.

"ახლებს" ისიც გაახსენდათ, რომ აჭარაში საარჩევნო დარღვევების ტრადიციას თავადაც ამჩნევდნენ და აღიარებდნენ, მაგრამ, მათი აზრით, ახლა ეს არ უნდა გახდეს არჩევნების შედეგების გაუქმების მიზეზი, რეგიონთან დიალოგი კი ნამდვილად აუცილებელია. **"მირჩევნია, ჩემი სახელი შეილახოს, ვიდრე ჩემი ქვეყანა," -** ამის მთქმელ "ანტიჟვანიისტ" და "ანტიშევარდნაძისტ" ლევან გაჩეჩილაძეს კიდევ რამდენიმე მიზეზი ჰქონდა საიმისოდ, თუ რატომ არ უერთდება მათი პარტია ოპოზიციის ბოიკოტს. **"ჩვენ გვაქვს რამდენიმე საკანონმდებლო ინიციატივა, რომელსაც პარლამენტში მოხვედრის გარეშე ვერ განვახორციელებთ. მაგალითად, მერებისა და გამგებლების სრული არჩევითობა, გადასახადების შემცირება, ხალხის დასაქმება და ამას ქუჩიდან ნამდვილად ვერ განვახორციელებთ," -** აცხადებენ "ახლები", რომლებიც, გვერდზე განდგომის მიუხედავად, მომავალ პარლამენტში ყველა იმ პოლიტიკურ ძალასთან აპირებენ თანამშრომლობას, ვინც კონსტრუქციულად მიუდგება მათ მიერ წამოწეულ ამა თუ იმ საკითხს.

# ტერაქტი ქუთაისში

გუშინ დილით, ქუთაისში, ფალიაშვილის ქუჩაზე, იმერეთის საოლქო პროკურორის პირველი მოადგილის გურამ გვენცაძის საცხოვრებელი სახლის ეზოში აფეთქების ხმა გაისმა. როგორც გაირკვა, უცნობმა პირებმა პროკურორის სამსახურებრივი მანქანის - "ნივის" ქვეშ ხელყუმბარა შეაგდეს, რასაც აფეთქება მოჰყვა. აფეთქებისას ავტომობილში არავინ იმყოფებოდა და არავინ დაშავებულა.

დაზარალებული პროკურორის გურამ გვენცაძის განცხადებით, ინციდენტი დილის 7 საათზე მოხდა. მომხდარ ფაქტს პროკურორი უკავშირებს რეგიონში ბოლო პერიოდში კრიმინალების შევიწროებას, უფრო კონკრეტულად კი, ე.წ. კანონიერ ქურდებთან დაპირისპირებას. მისი თქმით, აფეთქება ვიღაცამ სამართალდამცველთა დაშინების მიზნით განახორციელა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ქუთაისის პოლიციის საგამოძიებო სამსახური აწარმოებს გამოძიებას. სამართალდამცველები, ჯერჯერობით, არანაირ ვერსიაზე არ საუბრობენ, თუმცა, ქუთაისის პროკურორის თემურ ნოზაძის თქმით, უკვე გამოკვეთილია ცალკეული დეტალები და ამ ეტაპზე, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მათზე არ საუბრობენ. პოლიციის უფროსი დარწმუნებულია, რომ უახლოეს მომავალში დანაშაული გაიხსნება და დამნაშავეებიც დაისჯებიან.

*24 საათი*

# „დაბერდა და ბავშვობას დაუბრუნდა"



*ისინი თავისუფლების დაცვით არიან ანთებულნი, ამიტომ წვიმას და სიცივეს ვერ გრძნობენ.*

*პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე საპროტესტო აქცია არ იშლება, უფრო მეტიც, იგი ახალ ფაზაში შედის. გაერთიანებული ოპოზიციის წევრებმა გუშინ შიმშილობა დაიწყეს. ოპოზიციონერთა ამ გადაწყვეტილებას მომიტინგეები გულისტკივილით ხვდებიან, თუმცა მიიჩნევენ, რომ შიმშილობის გამოცხადებამ შეიძლება რაიმე მაინც შეცვალოს. მომიტინგეთა ნაწილმა ოპოზიციონერებთან ერთად შიმშილობის სურვილი გამოთქვა, თუმცა ამის უფლებას მათ გაერთიანებული ოპოზიცია არ აძლევს. "გეყოთ, ხალხო, რასაც შიმშილობთ... თქვენს შიმშილობას ჩვენ არ დავუშვებთ. მთავარია, ჩვენს გვერდით იყავით," – აცხადებს მეგაფონიდან "ნაციონალების" ერთ-ერთი ლიდერი ზვიად ძიძიგური.*

სოფო ბუკია

გუშინ რუსთაველის გამზირზე შეკრებილთა საუბრისა და განსჯის მთავარი თემა პრეზიდენტ შევარდნაძის სამეგრელოში და აჭარაში მოგზაურობა გახდა.

**"ჩვენთან ვერ ლაპარაკობს და ძროხებში წავიდა სალაპარაკოდ... გეკითხებით მე თქვენ, ჰგავს ეს ნორმალური კაცის საქციელს? რა დროს ძროხების ნახვა იყო, კაცო? ეუფ, დავიღუპეთ, ხალხო, სულ გაგიჟდა ეს კაცი, ან დაგვცინის ყველას ერთად... ყველა შემთხვევაში გადასაყენებელია, არ შეიძლება მაგის იქ დატოვება,"** – ბიძინა კევლიშვილის ამ ვარაუდებს მისი მომიტინგე მეზობლებიც დაეთანხმნენ.

**"დაგვცინის, ჩვენ მოთმინებას ცდის... ყველაფერზე წამსვლელი კაცია, აჭარისა და თბილისის დაპირისპირებაზეც მიდის, ერის შუაზე გახლეჩაზეც, მაგრამ ვერ მოესწრება. აღშფოთებული ვარ იმ კადრებით, რაც აჭარის ტელევიზიამ გადმოსცა. არაფრით არ უნდა ავყვეთ პროვოკაციას და ჩვენს აჭარელ ძმებს არ უნდა დავუპირისპირდეთ. ვინ არის მაგის აბუჩად ასაგდები? ვინ არის მაგის დასაცინი? გული მტკივა, მართლა გეუბნებით, რა... ეს ბავშვები რომ ყვირიან - "კმარაო", ნუთუ მართლა არ კმარა, ხალხო?"** – ასე ფიქრობს გეოლოგი მერაბ კაკაურიძე.

**"ჯერ ერთი, თუ ასლანთან სალაპარაკო ჰქონდა, ბათუმში რატომ წავიდა? პრეზიდენტია თუ ფოსტალიონი? ასლანა აქეთ უნდა ჩამოსულიყო მაგასთან. შევარდნაძის უსუსურობა ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჩანს, მიდის აჭარაში და ასლანას ელაქუცება... არა მგონია, ქართველ ხალხს ასეთი პრეზიდენტი სჭირდებოდეს,"** – ამბობს 19 წლის ლიკა გოგუა, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი.

**"ჩვენი პრეზიდენტისგან არაფერი მიკვირს. არავის არ უნდა გაუკვირდეს, თუ ხვალ თბილისის ზოოპარკს ინახულებს, ან ეშმაკის ბორბალზე "იკატავებს". დაბერდა და ბავშვობას დაუბრუნდა, ბუნებასთან კონტაქტი სწყურია – ძროხები, ზღვა და ა.შ."** – ამბობს "კმარას" ერთ-ერთი აქტივისტი.

პრეზიდენტის სენაკში მოგზაურობასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა მიხეილ სააკაშვილმაც: **"კი, ძალიან საინტერესო იყო შევარდნაძის სენაკში ვიზიტი. მან იქ ძროხები ინახულა, მათთან ეტყობა საერთო ენას პოულობს, თუმცა, მინდა გითხრათ, რომ ეს ძროხები ჰოლანდიური ჯიშისაა და მათ ჩამოყვანაში ჩემ მეუღლეს სანდრას მიუძღვის წვლილი... პრეზიდენტისთვის სამწუხაროდ, მას ფერმაში არ ჰყავს მხარდამჭერები. ეს ძროხებიც კი არ არის შევარდნაძის ამომრჩეველი..."**

გუშინდელ აქციას იმ სტუდენტთა ჯგუფი შეუერთდა, რომლებიც 2001 წლის ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ პრეზიდენტ შევარდნაძის ინიციატივით შექმნილი სტუდენტთა საბჭოს წევრები გახლდნენ. გუშინ ორმა სტუდენტმა საზეიმოდ დაწვა ამ საბჭოს წევრობის დამადასტურებელი ხელშეკრულებები. **"ჩვენ აღარ გვინდა პრეზიდენტთან არანაირი საუბარი,"** – აცხადებდნენ ისინი.

გუშინ პარლამენტის შენობის წინ "ლეიბორისტების" პარტიული მანდატიც იწვოდა. "ლეიბორისტული პარტიის" ერთ-ერთმა რიგითმა წევრმა ჯერ დიდი ბოდიში მოიხადა 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებზე "ხმის გაფუჭებისთვის", რომელიც მან "ლეიბორისტებს" მისცა, შემდეგ კი პარტიული მანდატი ხალხის თვალწინ დაწვა.

# შეცდომები, რომლებმაც ქვეყანა ეკონომიკურ ჩიხამდე მიიყვანა

*დღეს, არსებული სერიოზული დაპირისპირების მიუხედავად, თითქმის ყველა თანხმდება იმაზე, რომ საქართველოში ბოლო ათწლეულის განმავლობაში უამრავი პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის შეცდომა იქნა დაშვებული. დღეს ჩვენი ინტერესის საგანს ის ეკონომიკური შინაარსის შეცდომები შეადგენს, რომლებმაც ქვეყანა ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ჩიხამდე მიიყვანა.*

ეთერ მამულაშვილი

**ლადო პაპავა**
"1999 წლიდან ქვეყანა ერთ ადგილს ტკეპნის."

ძალიან ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული და ეს შეცდომები, პრაქტიკულად, იწყება იმ დღიდან, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. ეს, პირველ რიგში, არის შეცდომები, რომლებიც დაკავშირებული იყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შეფერხებასთან, როდესაც წამოყენებული იქნა ე.წ. სახელმწიფო კაპიტალიზმის დოქტრინა, რაც, პრაქტიკულად, ნიშნავდა აზრის შეცვლას, მაგრამ უარის ართქმას სოციალისტურ ეკონომიკაზე.

ამას შემდეგ უკვე ემატება სამხედრო ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომები, როდესაც ეროვნული ბანკის მიერ, ყოველგვარი კონტროლის გარეშე, ქვეყანაში კრედიტები გაიცემოდა. 1993-1994 წლებში ქვეყანას საერთოდ არ გააჩნდა სახელმწიფო ბიუჯეტი, და ამ დროს, ყველა ხარჯი ეროვნული ბანკის საკრედიტო ემისიის ხარჯზე ფინანსდებოდა. ამან ინფლაციის ძალიან მაღალი ტემპები გამოიწვია. 1994 წელს ინფლაციამ თვეში 50-70 პროცენტს მიაღწია. ამ დროის შეცდომა იყო კუპონის შემოღება, როდესაც საქართველო რჩებოდა იმ ილუზიის ქვეშ, რომ რუსეთიდან ბანკნოტების ჩამოტანა შესაძლებელი იქნებოდა. ამიტომაც კუპონის შემოღებას საქართველოს ხელისუფლება აბსოლუტურად მოუმზადებელი შეხვდა.

ამის შემდეგ, 1994-1998 წლების ჩათვლით, შეცდომების რაოდენობა შედარებით შემცირდა, როდესაც საქართველომ, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებით, პროგრამის განხორციელება დაიწყო, რის შედეგადაც გამოვედით ჰიპერინფლაციური სპირალიდან, შემოვიღეთ სტაბილური ლარი. მაგრამ 1998 წლიდან ხელისუფლებამ ახალი შეცდომების დაშვება დაიწყო.

ძალიან დიდი შეცდომა იყო საგადასახადო კოდექსის იმ ვარიანტის მიღება, რომელიც სავალუტო ფონდის ზეწოლის შედეგად იქნა მიღებული.

1998 წლიდან იწყება სახელფასო და საპენსიო დავალიანებების გამუდმებული დაგროვება. ეს წელი მთავრდება ბიუჯეტის ფანტასტიური გარღვევით - 300 მილიონი ლარით.

1999 წლის შეცდომა იყო ის, რომ საქართველოს მთავრობა, პრაქტიკულად, არანაირ რეფორმას არ ატარებს არც ერთ სფეროში, რომელიც ეკონომიკას ეხება. 1999 წლიდან ქვეყანა ერთ ადგილს ტკეპნის. თუკი ქვეყანაში ეკონომიკური ზრდაა, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩრდილოვანი ეკონომიკის ხარჯზე, და ნავთობსადენის მშენებლობის ხარჯზე. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ზრდა არ არის განპირობებული ეკონომიკური რეფორმებით.

**სანდრო თვალჭრელიძე**
"მთავარი შეცდომა თანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკის არარსებობაა."

ყველაზე დიდი შეცდომა იყო 1997 წელს დამტკიცებული საგადასახადო კოდექსი, რომელიც მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის მითითებით მივიღეთ. ეს სრულებით არ შეესაბამებოდა ქართულ რეალობას, სინამდვილეს.

მორიგი შეცდომა იყო საგადასახადო სამინისტროს შექმნა.

დიდი შეცდომა იყო ფინანსთა მინისტრის თანამდებობიდან დავით იაკობიძის გათავისუფლება.

ასევე დიდი შეცდომა იყო ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე ახალგაზრდა პირების დანიშვნა. შეიძლება, ისინი მართლაც ნიჭიერები, მაგრამ გამოუცდელი კადრები არიან. მთავარი შეცდომა კი, შეიძლება ითქვას, ის არის, რომ ქვეყანაში არის არათანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ქანქარასავით ქანაობდა აქეთ-იქით.

**შოთა გვენეტაძე**
"ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღება საქართველოში კონკრეტული ბიზნესის ლობირების კონტექსტში ხდება."

ყველაზე დიდი შეცდომა არის ის, რომ ქვეყანას არა აქვს ჩამოყალიბებული კურსი. როდესაც ბალცეროვიჩი იყო ჩამოსული, მისი ერთადერთი შეკითხვა იყო: როგორი ტიპის ქვეყნის აშენება გინდათ? როდესაც ის ჩამოვიდა საქართველოში, მან ვერ გაარკვია, საითკენ მიდიოდა ქვეყანა. დღემდე ქვეყანაში არ არის ჩამოყალიბებული ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის შესაბამისადაც მიღებული იქნებოდა საგადასახადო, საბაჟო თუ სხვა ეკონომიკური ტიპის კანონმდებლობა.

მთელი ამ ათი წლის განმავლობაში ყველაზე დიდი შეცდომა იყო ის, რომ გადაწყვეტილებების მიღება ხდება კონკრეტული ბიზნესის ლობირების შედეგად, რომელიც დაკავშირებულია პრეზიდენტთან ან მის ოჯახთან. ეს გადაწყვეტილებები აისახება კანონმდებლობაში. ამის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს საგადასახადო კოდექსი, სადაც მთელი რიგი შეღავათები იყო ჩადებული. "გაორის" მაგალითის გახსენებაც საკმარისია - პრეზიდენტი მას ყოველთვის ღიად და საჯაროდ ლობირებდა.

შეცდომა იყო შემოსავლების სამინისტროს შექმნა, რომელმაც მხოლოდ ერთი წელი იარსება. ეს იყო აშკარად პოლიტიკური გადაწყვეტილება.

შეცდომა იყო ის, რომ ჩვენი კანონმდებლობა ძალიან ხშირად რადიკალურად იცვლებოდა, რის გამოც ბევრი ინვესტორი საქართველოში შემოსვლაზე უარს ამბობდა. ისინი პირდაპირ ამბობდნენ: ჩვენ არ ვიცით, ხვალ როგორ შეიცვლება კანონმდებლობა, ანუ ყველაზე მთავარი ამ შემთხვევაში არის მდგრადობა.

**რომან გოცირიძე**
"საქართველოში ხელისუფლება დამანგრეველ და ქრონიკულად მცოცავ შეცდომებს უშვებს."

შეცდომები იყო ორი კატეგორიის: ერთი - დამანგრეველი და მეორე - ქრონიკულდ მცოცავი, რომელიც ქვეყანას ამ უძრაობასა და ჭაობში აგდებდა.

დამანგრეველი იყო შევარდნაძის მიერ წარმოებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, როდესაც, ფაქტობრივად, დღეს ოლიგარქებად წოდებული ადამიანების უდიდესი მასა სწორედ ხალხის ძარცვის და ნაპარავი კრედიტების შედეგად წარმოიქმნა. მეორე შეცდომა იყო ეკონომიკური რეფორმების გაჭიანურება. ამ პერიოდში მოხდა სახელმწიფოს მიერ დაგროვილი დავალიანებების რეკორდულად სწრაფად ზრდა.

მესამე დიდ შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს საერთაშორისო საფინანსო ინტიტუტების და ორგანიზაციების რჩევების მუდმივად უგულებელყოფა, მათ შორის - სავალუტო ფონდისა, რასაც მათი მხრიდან უზარმაზარი დახმარებების შეწყვეტა მოჰყვა. შეცდომა არის საკადრო პოლიტიკა.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** პარლამენტის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციის გამო თბილისის მთაწმინდა - კრწანისის რაიონის პროკურატურაში აღძრული სისხლის სამართლის საქმე ჯერჯერობით გაუხსნელია. საქმეს არ ჰყავს ეჭვმიტანილები და ბრალდებულები.

მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურორის მირზა დოლიძის თქმით, ამჟამად მიმდინარეობს აქციაში მონაწილეთა მოწმის სახით დაკითხვა. მირზა დოლიძის განცხადებით, ჯერჯეროობით, არარეალურია მოწმის სახით ნინო ბურჯანაძის, მიხეილ სააკაშვილისა და ზურაბ ჟვანიას დაკითხვა. გამოძიებამ ჯერ უნდა დაადგინოს, არის თუ არა დანაშაულის შემადგენლობა იმ ქმედებაში, რაც რუსთაველის გამზირზე ხდება.

საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის 226-ე მუხლით - ჯგუფური მოქმედების ორგანიზება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, ან მასში აქტიური მონაწილეობა.

იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდა პოლიტიკური პარტიების ლიდერთა ბრალეულობა, საქმე გამოსაძიებლად გენერალურ პროკურატურას გადაეცემა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია მისი შესაძლო გადადგომის შესახებ ზოგიერთი საინფორმაციო საშუალებით გავრცელებულ ინფორმაციას მცდარს და უსაფუძვლოს უწოდებს.

სახელმწიფო მინისტრთან და უშიშროების საბჭოს მდივანთან - თედო ჯაფარიძესთან გამართული გუშინდელი შეხვედრის შემდეგ უშიშროების მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბრისას პარლამენტის შენობის წინ შეკრებილ ოპოზიციონერებს და მათ ლიდერებს გონიერებისა და კომპრომისისკენ მოუწოდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ორი დღის წინ, გვიან ღამით თბილისის ჩუღურეთის რაიონში მდებარე "ახალი საქართველოსთვის" საარჩევნო შტაბი დაცხრილეს. პოლიციის ინფორმაციით, სახელისუფლებო ბლოკის ოფისის მიმართულებით "მერსედესის" მარკის ვერცხლისფერი ავტომანქანიდან ისროდნენ. ჩამსხვრეულია პირველი სართულის მინები.

მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე პოლიციის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოში აღიძრა. ბლოკის წარმომადგენლის ირაკლი მინდელის განცხადებით, შესაძლოა, ამ ფაქტს სიტუაციის კიდევ უფრო გართულება მოჰყვეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ნაციონალური მოძრაობის" ოფისთან 3 ნოემბერს მომხდარი ინციდენტის გამო დაკავებული ელდარ არღვლიანის ადვოკატმა ზაურ ჯალაღონიამ დღეს თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურატურას განცხადებით მიმართა, რომელშიც მისი დაცვის ქვეშ მყოფის ცემის ფაქტზე რეაგირებას მოითხოვს.

კოდორის ხეობიდან დევნილ 30 წლის არღვლიანს ბრალი ედება ხულიგნობასა და იარაღის უკანონო ტარებაში. წინასწარი ინფორმაციით, მან 3 ნოემბერს, საღამოს, ჩიტაძის ქუჩაზე მდებარე "ნაციონალური მოძრაობის" ოფისთან ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე ისროლა. ამის გამო არღვლიანი სააკაშვილის დაცვის წევრებმა ცემეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "კრიმინოგენული მდგომარეობა ამ დროისათვის საქართველოს ყველა რეგიონში უკიდურესად დაძაბულია, ვინაიდან რუსთაველის გამზირზე მიმდინარე საპროტესტო აქციის გამო როგორც თბილისის, ისე საქართველოს ყველა რეგიონის პოლიციის თანამშრომლები მობილიზებულნი არიან თბილისის ქუჩებში წესრიგის დასაცავად," - განაცხადა შს მინისტრის მოადგილემ რუბენ ასანიძემ.

მისი თქმით, ის არეულობა, რომელიც საპროტესტო აქციამ მოიტანა, ყველაზე უფრო ხელს აძლევს კრიმინალებს, რომლებიც უკვე გააქტიურდნენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საზღვრის უკანონო გადმოკვეთის ბრალდებით დაკავებული სამი ჩეჩენი პატიმარი პრეზიდენტ შევარდნაძისგან დროებით თავშესაფარს ითხოვს. თუ ჩეჩნები საქართველოში დროებით თავშესაფარს მიიღებენ, მაშინ რუსეთის ფედერაციაში მათი ექსტრადიცია აღარ განხორციელდება.

გუშინ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საოლქო სასამართლოში ადმინისტრაციული სარჩელის არსებითი განხილვა დაიწყო. სასამართლომ მხოლოდ მხარეების პოზიციები მოისმინა და საქართველოს გენერალურ პროკურატურას პატიმრების ვინაობის იდენტიფიკაცია დაავალა. როგორც ცნობილია, ჩეჩენმა პატიმრებმა - მულკოევმა და ალხანოვმა დაკავების დროს სხვა გვარები - ელიხაჯიევი და ბაიმურზაევი დაასახელეს.

სარჩელი ჩეჩენი პატიმრების - ბეკხან მუკლოევის (იგივე ელიხაჯიევი), ხუსეინ ალხანოვის (იგივე ბაიმურზაევი) და ხამზატ ისაევის ადვოკატებმა შეიტანეს. პროცესზე მოპასუხე მხარე საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძეა, ხოლო საქმეში მესამე პირად იუსტიციის, უშიშროების და განსახლების სამინისტროები და საზღვრის დაცვის დეპარტამენტი არის ჩართული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შპს "მორკინალის" მეპატრონის ჯონი გიგანის ავტომანქანის აფეთქებაში ეჭვმიტანილი ალექსანდრე მაისურაძის საქმის განხილვა საქართველოს უზენაეს სასამართლოში დღეს გაგრძელდება. პროცესზე შვიდი მოწმის დაკითხვა იგეგმება.

ალექსანდრე მაისურაძის ადვოკატის ვლადიმერ გაბრიჩიძის განცხადებით, მოწმეთა დაკითხვის დასრულების შემდეგ სასამართლო ჩვენებას ეჭვმიტანილ მაისურაძისგანაც მიიღებს. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით უკვე დაიკითხა დაზარალებული ჯონი გიგანი, მისი მეუღლე თამარ ჩარკვიანი და სხვა რამდენიმე მოწმე.

სასამართლო მოსმენა დღეს გაგრძელდება. **ინტერ-პრესი**

# პოლიციას ხელი უკანკალებს

პირველი გვერდიდან

ბრიგადის ტერიტორიაზე განვალაგეთ. ეს გადაადგილება სრულიად არ უკავშირდება თბილისის ცენტრში მიმდინარე მიტინგს. ამ ტექნიკის ნაწილი დაზიანებულია და შეკეთებას საჭიროებს, ნაწილი კი ზამთრის მანძილზე გამოვიდოდა მწყობრიდან. პანკისის ხეობაში სიტუაცია სტაბილურია და იქ დიდი რაოდენობით საბრძოლო ტექნიკა საჭირო აღარ არის. ზამთარში კი მათი შენახვისთვის საჭირო პირობების შექმნა საგუშაგოებზე ვერ ხერხდება. მე რომ მომიტინგეების წინააღმდეგ ჯავშანტექნიკის გამოყენებას ვაპირებდე, დამერწმუნეთ, თბილისშიც საკმარისად მყავს და პანკისიდან მოხსნა არ დამჭირდებოდა.

**- ესე იგი, მომიტინგეების წინააღმდეგ ჯავშანტექნიკით გამოსვლა დღის წესრიგში არ დგას. აბა, რა ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას აპირებს პოლიცია და შინაგანი ჯარი?**

- ჩვენ ძალის გამოყენება რომ გვინდოდეს, ამის კანონიერი საფუძველი უკვე გვაქვს და კიდეც გამოვიყენებდით. მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ არ გვინდა. ხედავთ, რომ შინაგანი ჯარი მხოლოდ თავის მოვალეობას ასრულებს, წესრიგს იცავს. ვდგავართ კანცელარიასთან და პარლამენტთან. ჩვენი ვალია, აღვკვეთოთ იქ შეჭრის ნებისმიერი მცდელობა, ვისი მხრიდანაც არ უნდა იყოს. მეტსაც გეტყვით, პროვოკაციის თავიდან ასაცილებლად, შინაგანი ჯარის არც ერთი ჯარისკაცი არ არის შეიარაღებული. მიტინგის ტერიტორიას რომ ვუახლოვდები, ჩემს დაცვასაც ვატოვებინებ იარაღს. მინდა, ყველამ იცოდეს, რომ რუსთაველის გამზირზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფ შინაგანი ჯარის არც ერთ ჯარისკაცს იარაღი არ აქვს.

**- და მაინც, თქვენი, როგორც საქართველოს ჩვეულებრივი მოქალაქის პოზიცია იმაზე, რაც ხდება?**

- მე სამსახურებრივი მდგომარეობა მიკრძალავს პოლიტიკური შეფასებების კეთებას. ისე კი გეტყვით, რომ ძალზე რთული სიტუაციაა. ორივე მხარეს ქართველები არიან, ამიტომ მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ, არა თუ იარაღის გამოყენებაზე მიდგეს საქმე, ხელის შეხებაც კი არ მოხდეს მხარეებს და, თუნდაც, ძალოვნებსა და მომიტინგეებს შორის.



*მათ იმედი აქვთ, რომ ხელისუფლებისგან უგუნურ ბრძანებას არ მიიღებენ.*

**- და მაინც, როგორ მოიქცევა შინაგანი ჯარის სარდალი გია შერვაშიძე, თუ ხელისუფლებამ მიტინგის დარბევა მოსთხოვა? გასცემთ ბრძანებას, რომ თქვენმა ჯარისკაცებმა მშვიდობიანი პროტესტის გამომხატველი საქართველოს მოქალაქეები დაარბიონ?**

- სხვათა შორის, მოსახლეობის მხრიდან უკვე გაისმის მოთხოვნა, რომ ხელისუფლებამ ან დაამყაროს ქვეყანაში წესრიგი, ან მართლაც გადადგეს. საუბარი არ არის მიტინგის დარბევაზე; თუ საჭირო გახდა, მიტინგი უნდა დაიშალოს და არა – დაირბეს.

**- ანუ მაინც მზად ხართ, ხელისუფლებიდან ბრძანების მიღების შემთხვევაში თქვენც გასცეთ ბრძანება, თუნდაც უიარაღოდ, მაგრამ იმავე რეზინის ხელკეტებით მშვიდობიანი ხალხის იძულებით დაშლის შესახებ?**

- მე იმედი მაქვს, რომ ხელისუფლების მხრიდან ეს არ იქნება.

**თბილისის პოლიციის "ომონის" უფროსი თემურ მღებრიშვილი შექმნილი სიტუაციის გამო ძალზე შეწუხებულია. იგი გუშინ იმასაც განიცდიდა, რომ პროფესიულ დღესასწაულს ის და მისი "ბიჭები" ქუჩაში შეხვდნენ:**

- როგორ ვიქნები, ძალიან ცუდად ვარ. დღეს პოლიციის დღეა და გაწუწული და გაციებული ქუჩაში ვდგავარ... მომიტინგეების დარბევის შემთხვევაში რას ვიზამთ? აბა, რა გითხრა, ბრძანება თუ იქნება, აბა...

**- ბატონო თემურ, რას გულისხმობთ, ბრძანების შემთხვევაში მომიტინგეებს დაარბევთ?**

- რა გითხრათ... ეს ხალხი ჩვენები, ქართველები არიან და... ხალხს პრეზიდენტის ჩამოგდებისკენ მოუწოდებენ, ქაობისკენ... შეიძლება ასე? რა ვქნათ აბა... თუ ბრძანება იქნება?.. მე პოლიციელი ვარ...

**- ანუ ბრძანების საფუძველზე მომიტინგეების წინააღმდეგ ძალას გამოიყენებთ?**

- მომიტინგეები ჩვეულებრივი, გაჭირვებული, გაუბედურებული ხალხია. ეს ხალხი ელიავაზე, ხიდის ქვეშ იდგა, რათა პურის ფული გაეკეთებინა. მათ რას ვერჩი... მაგრამ გითხარით, მე პოლიციელი ვარ და ბრძანება უნდა შევასრულო... პოლიციელი ვარ, მაგრამ გული და მარჯვენა მიკანკალებს... არა მგონია, ასეთი ბრძანება მომცენ... დარწმუნებული ვარ, ეს იქნება ქვეყნისთვის და ხალხისთვის მიღებული ბრძნული განკარგულება... აბა, რა ვიცი, რა ვქნა, ჩემს ხალხს როგორ დავუპირისპირდები...

**ჩვენს შეკითხვაზე – გამოიყენებ თუ არა მომიტინგეების წინააღმდეგ ძალას ბრძანების შემთხვევაში? – რიგითი პოლიციელები პასუხს მართალია, იძლეოდნენ, მაგრამ ვინაობის დასახელებისგან კატეგორიულად იკავებდნენ თავს. პოლიციელთა პასუხი, უმეტეს შემთხვევაში, ერთნაირია – რა თქმა უნდა, მიტინგს ვერ დავარბევთ.**

- ვერა, პირადად მე ვერ დავარბევ. ისე, ჩვენი ბიჭები ძალზე დაძაბულები არიან, აქ ზოგი ჩვენი ნათესავია, ზოგის ძმაა, ზოგის – და... აბა, როგორ დავარბევთ. მე მთაწმინდა-კრწანისის პოლიციაში ვმუშაობ. ჩვენთან ასეთ რამეზე არც ყოფილა საუბარი და ჩვენი უფროსობაც არ არის ასე განწყობილი. რაც დაიწყო მიტინგი, იმის მერე აქ ვართ და ეს ხალხი არაფერს აშავებს, რატომ უნდა დავარბიოთ? არ ვიცი, სხვები რას იზამენ, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ჩვენ არ ჩავერევით ამ არეულობაში. პოლიციას ყოველთვის იყენებენ და აკეთებინებენ მათთვის საჭირო საქმეს, მაგრამ ჩვენ ქართველები ვართ და ჩვენ ხალხთან არ ვაპირებთ ომს. სხვათა შორის, ჩვენთან სხვა ეროვნების ბიჭებიც მუშაობენ და ისინიც ასე ფიქრობენ.

*24 საათი*

ეკა კვესიტაძის სვეტი

# ყურის აწევის მცდელობა თავისუფალი მასმედიისთვის

გუშინ "ლეიბორისტულმა პარტიამ", "მრეწველებმა" და "აღორძინებამ" "რუსთავი 2"-ს ერთსულოვნად გამოუცხადეს ბოიკოტი და განაცხადეს, რომ ამიერიდან ამ ტელეკომპანიის ეთერში გამოსვლაზე უარს ამბობენ. ამ ბოიკოტს არ შეერთებიან ხელისუფლება და "ახალი მემარჯვენეები", თუმცა იგულისხმება, რომ ისინიც მათთან არიან.

"რუსთავი 2"-ის მაყურებლისთვის ეს ბოიკოტი, შესაძლოა, ერთგვარი დროებითი შვება და არასრულფასოვანი ქვეყნის მოქალაქის კომპლექსისაგან გათავისუფლებაც კი აღმოჩნდეს, რადგან ყოველდღე ცოტნე ბაკურიას, რჩეულიშვილის, შარაძის და მათი მსგავსების ყურება არ მოუწევს. თუმცა, ეს ბედნიერება, საეჭვოა, დიდხანს გაგრძელდეს, რადგან დღეს ხელისუფლებასთან ღიად შეკრულ "ლეიბორისტებს", "მრეწველებს", "აღორძინებას" და მისთანებს ერთ დღეს ისევ მოუნდებათ ოპოზიციონერობანას თამაში და შევარდნაძის წინააღმდეგ "რუსთავი 2"-ის ეთერით განცხადებების გაკეთება.

თუმცა, ამ შემთხვევაში ეს მთავარი არ არის. მთავარი არის ის, რომ ხელისუფლებას და ეგრეთ წოდებულ ოპოზიციას თავისუფალი მედიისათვის უკვე ყურის აწევა მოუნდა. პირდაპირი მნიშვნელობით ამის დემონსტრირება გუშინ სახელისუფლებო ბლოკის ერთ-ერთმა რიგითმა, ვინმე თამაზ გიორგაძემაც მოახდინა, როცა "რუსთავი 2"-ის ჟურნალისტს ყური აუწია და შემდეგ პანღური ამოჰკრა.

სახელისუფლებო ბლოკს და მის მეგობარ პარტიებს თავისუფალი მედიისათვის ყურის აწევის მცდელობა გუშინ გადატანითი მნიშვნელობითაც ჰქონდათ. მას შემდეგ, რაც გადაწყვიტეს, რომ "რუსთავი 2"-ის ეთერით გამოსვლაზე უარი ეთქვათ და ამით ტელეკომპანიის სანდოობისთვის დარტყმა მიეყენებინათ. რამდენად გამოუვიდათ მათ ეს მცდელობა, მაყურებლის გადასაწყვეტია.

რაც შეეხება თავისუფალი მედიისთვის პანღურის ამოკვრას, ამ სიამოვნებას ხელისუფლება, თავის მეგობრებთან ერთად, უკვე დიდი ხანია, ელოდება. ელოდება, რომ რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, ნანატრი დღე მაინც დადგება - დღე, რომელიც "რუსთავი 2"-ის გარეშე გათენდება. მაგრამ მანამ, სანამ საქართველოში ხალხი ქუჩაში თავისუფალი სიტყვის და საკუთარი არჩევანის დასაცავად გამოდის, ნურავის ექნება იმედი, რომ ბოთლიდან ამომძვრალი ჯინის უკან ჩაბრუნება ასე იოლად მოხერხდება.

# ფუსფუსი სახელმწიფო კანცელარიაში

*სახელმწიფო მინისტრი ამ ბოლო დროს პოლიტიკურ ავანსცენაზე დიდად აღარ ჩანს. პრეზიდენტი ოპოზიციის ლიდერებსაც მის გარეშე შეხვდა და სენაკი-ბათუმის მიმართულებითაც მის გარეშე გაისეირნა. როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, პრეზიდენტი ამგვარად მის დროებით, როგორც გამაღიზიანებელი ფაქტორის, ნეიტრალიზებას ცდილობს... ჯორბენაძე გუშინ არც რეგიონიდან დედაქალაქში პრეზიდენტის დასახვედრად წასული მინისტრების სიაში აღმოჩნდა.*

ლელა მჭედლიძე

შეიძლება, ამას დიდი მნიშვნელობა არც ჰქონდეს, რადგან "მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარე სახელმწიფო მინისტრი მართლაც თავით გადაეშვა სამუშაოში, ანუ ბოლო დროს შექმნილი ოპერატიული მდგომარეობის განსამუხტად კონკრეტული გზების ძიებაში. თუმცა, ძნელი სათქმელია, ამ მხრივ რა შედეგს მიაღწია მან, ან საერთოდ ხელისუფლებამ. პრეზიდენტის თბილისში არყოფნისას, სახელისუფლებო ბლოკის ლიდერები სწორედ ბატონ ავთოსთან აგრძელებდნენ კონსულტაციებს. ერთი და იგივე პოლიტიკოსი გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში რამდენიმეჯერაც კი ნახეს. თუმცა, როგორც წესი, ისინი არ ჩქარობდნენ იმის დაზუსტებას, თუ ვისთან ან რა საკითხზე იყვნენ შეკრებილნი.

ერთი შეხედვით, არაფერი შეცვლილა, რადგან როგორც სახელისუფლებო ბლოკის, ისე ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები თითქმის უცვლელად იმეორებდნენ იგივეს, რასაც ჯერ კიდევ ორისამი დღის წინ აცხადებდნენ: დედაქალაქის მერი ვანო ზოდელავა მომიტინგეებთან დიალოგის გაგრძელების აუცილებლობაზე საუბრობდა, შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი მოსალოდნელ ექსცესებს არ გამორიცხავდა და ა.შ. სიახლე საკმაოდ განაწყენებული გენერალური პროკურორის, ნუგზარ გაბრიჩიძის მიერ ჟურნალისტებისათვის "სამადლოდ" მიგდებული ინფორმაცია იყო, **"გენერალური პროკურატურის მიერ უკვე სისხლის სამართლის 54 საქმეა აღძრული, ვისზეც საჭიროა, იმაზეო."**

საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე ვალერი ჩხეიძე კი იმას ამტკიცებდა, რომ ეროვნული უშიშროების აპარატს საზღვრებზე არსებული მდგომარეობა გააცნო. ჩხეიძის შეფასებით, ჩვენს საზღვრებზე ამჟამად სიმშვიდეა. ყველაზე სახიფათო ჩრდილოეთის მონაკვეთზეც (რომელიც ჩეჩნეთს ესაზღვრება) კი, რომელიც თოვლის გამო, კარგად ჩაიკეტა. საზღვრის დაცვის დეპარტამენტი ჩვეული რეჟიმით მუშაობს, მიუხედავად მძიმე ფინანსური მდგომარეობისა, რომლის შესახებ დეპარტამენტის ხელმძღვანელმა უშიშროების საბჭოს აპარატში კიდევ ერთხელ დაიჩივლა.

პარლამენტის წინ მომიტინგეთა აქცია ხელისუფლებამ, წესით, ძალის გამოყენებით არ უნდა დაშალოს - ასეთ ვარაუდს გუშინ რამდენიმე განცხადებაც უმაგრებდა საფუძველს. უწინარეს ყოვლისა, სახელისუფლებო ბლოკის ლიდერების ოფიციალურად გაცხადებული მზადყოფნა მომიტინგეებთან დიალოგის გაგრძელების შესახებ. გარდა ამისა, დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარის განცხადება. მართალია, იოსელიანი, თავისი სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, აპროტესტებდა უშიშროების საბჭოს აპარატში შემდგარი შეხვედრის შინაარსის გამომზეურებას, მაგრამ აქციის შესახებ საკუთარი მოსაზრება მაინც არ დამალა: **"რა უნდა ვქნათ, ხომ არ შევეჯახებით, მშვიდად დგანან და იდგნენ. კარვები გაშალეს, მალე, ალბათ, საქონელსაც ჩამოიყვანენ... უბრალოდ, საწყენია, რომ ჩვენი დიდი ერი სხვების სათამაშოდ გადაიქცა. მაგრამ მჯერა, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება,"** - აცხადებდა იოსელიანი.

**"მშვიდობიანი აქცია ხალხის უფლებაა და მას ვერავინ შეზღუდავს,"** - საქართველოში აშშ-ს ელჩის რიჩარდ მაილსის განცხადება საქართველოს ხელისუფლებისადმი აშშ-ს არაოფიციალურ დირექტივადაც შეიძლება ჩაითვალოს. ამგვარი პოზიციის მიუხედავად, ელჩი იმასაც ამატებდა, რომ **"აშშ საქართველოში მიმდინარე პროცესების აქტიური დამკვირვებელია და საქართველომ თავისი შიდა პრობლემები თავად, რომელიმე მეგობარი ქვეყნის ჩაურევლად უნდა გადაწყვიტოს."**

გვიან საღამოს სახელმწიფო მინისტრთან შესახვედრად კვლავ მიიჩქაროდა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი, აგრეთვე, სახელისუფლებო ბლოკში ახლადგაწევრიანებული დილარ ხაბულიანი და სხვები. დღის განმავლობაში სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრას ცდილობდა ასევე მისი თანაგუნდელი გიორგი ყარყარაშვილიც, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში წვიმაში მომიტინგე ხალხის, საერთოდ, მოსახლეობის ბედით იყო შეწუხებული და საკუთარი შეხედულების აღმასრულებელი ხელისუფლების ყურამდე მიტანაც სურდა. თუმცა, ეს შეხვედრა, ჯორბენაძის მოუცლელობის გამო, გუშინ არ შედგა. თუ რა შთაბეჭდილებებით დაბრუნდა ქვეყნის მეთაური აჭარიდან, ან უახლოეს მომავალში იგი მხოლოდ ორი კუთხის დალაშქვრით შემოიფარგლება თუ არა, ჯერჯერობით უცნობია. სახელმწიფო კანცელარიაში ინფორმაცია ამის შესახებ არ გაუვრცელებიათ.

# ქართველი ტევტონები ქოლგებისა და ცელოფნების "ქალაქში"

პირველი გვერდიდან



"მეგობრებო! შემოგვიერთდნენ მხარდამჭერები ზუგდიდიდან... ოზურგეთიდან... ქუთაისიდან... ბორჯომიდან... მცხეთიდან...".

დედაქალაქში ჩამოსული ხალხი ტრაგიკომიკურ ამბებს ყვება. **"რადგან პოლიციის მიერ გზებზე მოწყობილი პიკეტები ვერ გავარღვიეთ, გადავწყვიტეთ, თბილისში მატარებლით წამოვსულიყავით, მაგრამ ხელისუფლება "ეშმაკობას" მიგვიხვდა და შემადგენლობა ხაშურის რკინიგზის სადგურში გააჩერა. მხოლოდ მას შემდეგ "გაგვათავისუფლეს", როდესაც კაკო ჩხაიძის ხალხს თითო ვაგონის გამოშვებაში 50-50 ლარი გადავუხადეთ,"** - აცნობა მომიტინგეებს "გაერთიანებული დემოკრატების" ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ბეჟან გუნავამ, რომლის თქმითაც, ზუგდიდში მომიტინგეებისთვის ნასროლმა ტყვიებმა კი არ შეაშინა, არამედ გააერთიანა ოპოზიცია.

მომიტინგეები საკმაოდ გაამხიარულა პრეზიდენტის "თანამემამულის", მამათელი ქალბატონის მონათხრობმა: **"ჯერ იყო და, შევარდნაძემ შემნახველ სალაროში შეტანილი 40 ათასი მანეთი წამართვა; შემდეგ, როდესაც მამათიდან რუსთავში გავექეცი, იქაც მომწვდა. ახლა უკვე 14-ლარიან პენსიას მართმევს."**

გამომსვლელთა შორის უბრალო ხალხი სჭარბობს. მიკროფონთან მიდიან და ყოველგვარი პათეტიკის გარეშე ამბობენ თავის სათქმელს ექთანი და მასწავლებელი, ლტოლვილი და პენსიონერი, სტუდენტი და მსახიობი (ოთარ კობერიძე), ყოფილი პოლიტპატიმარი (ავთანდილ იმნაძე) და დღევანდელი პოლიტპატიმრის (თენგიზ ასანიძის) მეუღლე...

ჩრდილში, ცხადია, არც პოლიტიკოსები დგანან. მათ მიერ შეფასებები ეძლევა პრეზიდენტ შევარდნაძის აჭარაში გამგზავრებას, აგრეთვე იმ დამოკიდებულებას, რომელსაც საპროტესტო აქციის მიმართ სხვადასხვა პოლიტიკური ძალები ამჟღავნებენ.

**"შევარდნაძემ ბათუმში აღნიშნა, მე და ასლან აბაშიძე ყოველთვის ერთად ვიყავითო. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც პრეზიდენტი არ ცრუობს... ხელისუფლება ბაქოს ამბების გამეორებით გვაშინებს; ჩვენ კი მას ვთავაზობთ არჩევანს მილოშევიჩისა და ჩაუშესკუს ბედს შორის... ვინც დღეს ბუჩქებში იმალება და ჩვენს აქციას არ უერთდება, იმას უფლება არა აქვს, მომავალ პარლამენტში იჯდეს. ასლან აბაშიძის სისხლიანი ხმებით უნდა ფიქრია ჩიხრაძეს პარლამენტში შესვლა? ნუთუ არ შერცხვება, როდესაც იქ კობა ხაბაზის გვერდით დაჯდება?"** - როგორც ყოველთვის, გუშინაც საკმაოდ ემოციური იყო დავით ბერძენიშვილის გამოსვლა.

მიტინგზე გაისმა მოთხოვნა, რომ საპროტესტო აქციის ორგანიზატორებმა მოამზადონ მიმართვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დასავლეთის ქვეყნების მეთაურებისადმი, რათა ისინი მხარში ამოუდგნენ დემოკრატიულ ოპოზიციას და არ მისცენ საშუალება შევარდნაძეს, სისრულეში მოიყვანოს თავისი განზრახვა - კვლავ რუსეთის ორბიტაში მოაქციოს საქართველო.

**"ცოტაც გავიჭირვოთ და გავუძლოთ ამ წვიმას, თორემ ახლო მომავალში ისეთი თქეში წამოვა, რომ ყველაფერი დალპება და წაილეკება,"** - ერთმანეთს აფრთხილებდნენ და ამხნევებდნენ მომიტინგეები.

თუმცა, პარლამენტის წინ შეკრებილთ სიმხნევე და სტოიციზმი ისედაც არ აკლიათ. როგორც ტევტონები ბრძოლის წინ ჯაჭვით გადაებმებოდნენ ხოლმე ერთმანეთს (მიტინგზე ესეც გაიხსენეს), შევარდნაძე-აბაშიძის წინააღმდეგ გაერთიანებულმა ადამიანებმა გადაწყვიტეს, ამიერიდან ერთმანეთს "შიმშილობის ჯაჭვითაც მიებან".



# დენთან თამაში

## მთავრობა ელექტროენერგეტიკას სტაბილიზაციის შესანარჩუნებელ ზვარაკად მიიჩნევს

მაია ურუშაძე

გუშინ სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა მამუკა ნიკოლაიშვილმა ენერგოსექტორის ხელმძღვანელები დაიბარა და "შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით ქვეყნის უწყვეტი ელექტრომომარაგება" დაავალა. ნიკოლაიშვილის თქმით, უდენობა არ უნდა გახდეს ხალხის ქუჩაში გამოსვლის მიზეზი. ამის გამო, საბითუმო ბაზარმა, "სახელმწიფო ელექტროსისტემამ", "თელასმა" და "გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ" (გსეკ), საქართველოს უკლებლივ ყველა რეგიონი, გადახდის მაჩვენებლის მიუხედავად, ელექტროენერგიით უწყვეტად უნდა მოამარაგონ. ერთი სიტყვით, სტაბილიზაციის შენარჩუნების მოტივით, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა ქვეყნის უმნიშვნელოვანესი დარგი, ფაქტობრივად, კიდევ ერთხელ გაწირა გაკოტრებისთვის.

**"ჩვენ გვესმის, რომ ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება მძიმეა,"** – ასე აფასებენ ენერგეტიკული სექტორის სხვადასხვა სფეროს უცხოელი მენეჯერები ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას და არ საუბრობენ იმაზე, რომ სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ახალმა დირექტივამ, შესაძლოა, დარგს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს. მით უმეტეს, რომ ზამთარი კარსაა მომდგარი, მოსალოდნელ ენერგოდეფიციტზე საუბარი კი დარგის სპეციალისტებმა არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე – ზაფხულის მიწურულსვე დაიწყეს.

თუმცა, მთავრობას ეს დღეს ნაკლებად აღელვებს. სახელმწიფო ჩინოვნიკებმა არჩევნები უკვე გადააგორეს. ახლა მათთვის დიდი მნიშვნელობა აღარა აქვს, რა იქნება ხვალ – მთავარია, დღეს აღელვებულმა ხალხმა დროებით განათებულ სახლებს მიაშუროს.

მოკლედ

### "მრეწველები", "ლეიბორისტები" და "აღორძინება" ახალ ოპოზიციურ ფრონტს ქმნიან

"მრეწველები", "ლეიბორისტები" და "დემოკრატიული აღორძინების კავშირი" "ჟვანია-სააკაშვილის პოლიტიკური ჯგუფის ზეგავლენისგან ქართული საზოგადოების დაცვის მიზნით", ახალ ოპოზიციურ ფრონტს ქმნიან. ამის შესახებ დღეს "მრეწველების" ოფისში გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე "აღორძინების" წარმომადგენელმა ცოტნე ბაკურიამ განაცხადა.

მისივე თქმით, აღნიშნულ სამ პოლიტიკურ გაერთიანებას შორის მიმდინარეობს კონსულტაციები, რათა გამოიკვეთოს ის პრინციპები, რითაც ისინი ჟვანია-სააკაშვილის ექსტრემიზმს დაუპირისპირდებიან.

სამივე პოლიტიკურმა ძალამ გუშინ ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ს "ჟვანია-სააკაშვილის პოლიტიკური ინტერესებით ანგაჟირებული ტელევიზია" უწოდა, ბოიკოტი გამოუცხადეს მას და სამოქალაქო დაპირისპირების გაღვივებაში დაადანაშაულეს. **ინტერ-პრესი**

### ხელისუფლების დანამატების თვითლუსტრაცია

"ბურჯანაძე-დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერის ელენე თევდორაძის მოსაზრებით, "აღორძინების", "მრეწველებისა" და "ლეიბორისტების" ალიანსი "ნაციონალური მოძრაობის" და "ბურჯანაძე-დემოკრატების" წინააღმდეგ შევარდნაძის მიერ არის ინსპირირებული. თევდორაძის თვალსაზრისს "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი დავით ბერძენიშვილიც იზიარებს: "ეს დასტურია იმისა, რომ "მრეწველები", "ლეიბორისტები" და "აღორძინება" ხელისუფლების დანამატები არიან. ამ ნაბიჯით მათ თვითლუსტრაცია მოახდინეს," – აღნიშნავს ბერძენიშვილი. პოლიტიკური გაერთიანება "ერთობის" ლიდერი ჯუმბერ პატიაშვილი კი "მრეწველების", "აღორძინების" და "ლეიბორისტების" გადაწყვეტილებას, რომელიც "ჟვანია-სააკაშვილის პოლიტიკური დაჯგუფების ზეგავლენისგან საზოგადოების დაცვის მიზნით" ახალი ოპოზიციური ფრონტის შექმნას ითვალისწინებს, არსებული პოლიტიკური დაპირისპირების გაღრმავების წინაპირობად აფასებს. **ინტერ-პრესი**

### ნინო ბურჯანაძე: აქციის მონაწილეთა მხრიდან ძალის გამოყენება გამორიცხულია

"ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერი ნინო ბურჯანაძე საპროტესტო აქციის მონაწილეთა მხრიდან ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას გამორიცხავს და ხელისუფლებას კონსტრუქციული თანამშრომლობისკენ მოუწოდებს.

ბურჯანაძის თქმით, იმ ვითარებაში, როცა პრეზიდენტი აცხადებს, რომ ქვეყანაში, პრაქტიკულად, არაფერზე აგებს პასუხს და თვალს ხუჭავს არადემოკრატიულად ჩატარებულ არჩევნებზე, გაერთიანებული ოპოზიცია, ყველაფრის მიუხედავად, ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ვითარების განმუხტვას და პროცესების ნორმალურ კალაპოტში მოქცევას მაინც შეეცდება.

მე არ მსურს, რომ პრეზიდენტმა შევარდნაძემ, რომელსაც მსოფლიოში დემოკრატიის განვითარებისთვის მართლაც ბევრი რამ აქვს გაკეთებული, არჩევნებთან და დღეს მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით განსხვავებული სახელი დაიმკვიდროს და დასავლეთის ქვეყნებმა მის წინააღმდეგ რაიმე სანქციები გამოიყენონ, - ასეთია ნინო ბურჯანაძის პოზიცია. მისივე განმარტებით, აქციის ორგანიზატორები მიტინგზე ვითარებას აბსოლუტურად აკონტროლებენ და ხელისუფლების წინააღმდეგ ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას არც აპირებენ და არც დაუშვებენ. **ინტერ-პრესი**

მონიტორინგი

# ხელისუფლება ნოემბერში სექტემბრის ხელფასებს ისტუმრებს

წინა კვირას ცენტრალურმა ბიუჯეტმა 3,5 მილიონი ლარი დახარჯა.

3-7 ნოემბრისათვის გრძელდება სექტემბრის თვის ხელფასების დაფინანსება, რომელიც ჯერ არ დასრულებულა. დარჩენილია თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების შრომის ანაზღაურების ნაწილი.

თუმცა, შეგახსენებთ, რომ თავდაცვის სამინისტროს (წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის ფარგლებში) და სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს უკვე აღებული აქვს ოქტომბრის ხელფასები.

აღსანიშნავია, რომ ჯერ არ არის გაცემული ოქტომბრის თვის ლტოლვილთა შემწეობები. **სპს "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"**

2003 წლის 3 - 7 ნოემბრის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები

| № | დასახელება | თანხა (ათას ლარებში) |
|---|---|---|
| 1 | საბიუჯეტო ორგანიზაციების სექტემბრის თვის შრომის ანაზღაურება | 1,006.0 |
| | თავდაცვის სამინისტრო | 686.0 |
| | შინაგან საქმეთა სამინისტრო | 320.0 |
| 2 | არჩევნების დაფინანსების ფონდი | 250.0 |
| | ცენტრალური საარჩევნო კომისია | 250.0 |
| 3 | სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო | 2,150.0 |
| | ქ. თბილისის გაზგამანაწილებელი ქსელის რეაბილიტაციის პროგრამა | 500.0 |
| | ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მხარდაჭერის მიზნით აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში გასულ წლებში მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ნაწილობრივი ანაზღაურება | 1,650.0 |
| 4 | სხვა საქონელი და მომსახურება | 35.0 |
| | საქართველოს პარლამენტი | 35.0 |
| 5 | ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები | 33.1 |
| | სასამართლო გადაწყვეტილებები | 33.1 |

# წვიმა, სიმღერა და გამარჯვების რწმენა პარლამენტის შენობის წინ

პირველი გვერდიდან

ათწლიანი დუხჭირი ცხოვრების შემდეგ, რამაც უკიდურესი გაჭირვების გამო ადამიანები საკუთარ ნაჭუჭში გამოკეტა და გააბოროტა კიდეც, ალბათ, პირველი შემთხვევაა, როცა ამდენ ხალხს სურვილი გაუჩნდა, გვერდში მდგომი უცნობის ტკივილი საკუთარ ტკივილად მიიღოს და ელემენტარული სითბო და ყურადღება გაუნაწილოს.

**"მე მაყვალა აბაშიძე ვარ, სამწუხაროდ, საკუთარი გვარი შემაძულეს. 62 წლის ქალი საკუთარი სიმართლის დასაცავად მესამე დღეა, აქ ვდგავარ.**

**საარჩევნო სიებიდან იმის გამო ამომიღეს, რომ იმ ხალხის გვარების წაშლა მოვითხოვე, ვინც ხუთი-შვიდი წლის წინ გარდაიცვალნენ. დიდი ბრძოლის შემდეგ, დღის ბოლოს არჩევნებში მონაწილეობა მივიღე. დღეს კი ამ არჩევანს მართმევენ. ამ გამოსვლებმა იმედი ჩამისახა. მჯერა, მივაღწევ იმას, რომ ჩვენი შვილიშვილები ამ ქვეყნის მჭამელებმა არ დაჩაგრონ. ფეხები მტკივა, ზოგჯერ ცალ ფეხზე ვდგავარ, მაგრამ წასვლას მაინც არ ვაპირებ."**

**"სოხუმიდან დევნილი ვარ. სადაც ქართველი ხალხია, მეც იქ ვდგავარ. აქ უამრავი ჩემნაირად გამწარებული დევნილია. სოხუმის დაცემის წინა დღეებში იქიდან წამოსვლას ვაპირებდით. აეროპორტში შევარდნაძე დაგვხვდა და გვითხრა, დაბრუნდით, მე ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ არანაირი საფრთხე არ დაგემუქრებათო. დავუჯერეთ სახელმწიფოს მეთაურს და საკუთარი თვალით ვნახეთ, როგორ ჭამდნენ ჩვენს მეზობლებს ღორები. იმის მერეც ბევრჯერ მოგვატყუა. ბოლო ტყუილი არჩევნები იყო. ამდენის მოთმენა აღარ შეიძლება. მეც მინდა, ვნახო გამთლიანებული საქართველო, მაგათ ხელში კი არაფრის იმედი აღარ მაქვს,"** – ამბობს ლუიზა ნაჭყებია.



გია ხევიაშვილი და ლადო ჭიპაშვილი.

**"აქ იმიტომ ვდგავარ, რომ მჯერა, საქართველოში სხვანაირად არაფერი შეიცვლება. ეს მშვიდობიანი აქციაა და არც სამოქალაქო დაპირისპირება და არც სისხლის ღვრა არ მოხდება. ორი ფაკულტეტი დავამთავრე, მაგრამ სამსახური ვერსად ვიშოვე, რომ ცოლი და ორი თვის შვილი ვარჩინო. ამ ხელისუფლების ხელში ცხოვრების საშუალება არ გვაქვს და არც გვექნება. შევარდნაძე უნდა გადადგეს იმ ხალხთან ერთად, ვინც საქართველო შეჭამა. ჩვენ აქ საკუთარი გამარჯვების რწმენით მოვედით და ვიდრე არ გავიმარჯვებთ, ვერაფერი და ვერავინ დაგვახევინებს უკან. ჩვენ გვჯერა ოპოზიციის და მათაც არა აქვთ უფლება, ხალხს იმედები არ გაუმართლონ."** – ეს 21 წლის ბესიკ გაბაიძის პოზიციაა.

**"ჩვენ გვჯერა თქვენი. გვჯერა თქვენი თანადგომის და შემართების. გვერწმუნეთ, ამ თანადგომით ერთად მივაღწევთ გამარჯვებას,"** – ამ სიტყვებით "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ სამჯერ მიმართა საკუთარი და ქვეყნის უფლებების დასაცავად შეკრებილ საზოგადოებას. ღამის თორმეტის ნახევარზე კი სააკაშვილმა კვლავ მიმართა ერთგულ მხარდამჭერებს და საკუთარი პარტიის წევრები წარუდგინა, რომლებიც პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართავენ. "ნაციონალური მოძრაობის" წევრებმა ლადო ჭიპაშვილმა და გია ხევიაშვილმა შიმშილობა დაიწყეს.

**"ჩვენს მხარდასაჭერად ხალხი წვიმაში დგას. მართალია, მესამე ღამეა, ჩვენც მათთან ვართ, მაგრამ გადავწყვიტეთ, სოლიდარობის ნიშნად შიმშილობა დავიწყოთ და მანამდე არ შევწყვეტთ, ვიდრე ხალხი აქ იქნება და ვიდრე ჩვენს მიზანს არ მივაღწევთ,"** – აღნიშნა ჩვენთან საუბარში გია ხევიაშვილმა. თუმცა, როგორც მომიტინგეებს მიხეილ სააკაშვილმა განუცხადა, მოშიმშილეთა რაოდენობა ამ დღეებში კიდევ უფრო გაიზრდება და იგი მასობრივ სახეს მიიღებს. ოპოზიციის ლიდერის თქმით, პროტესტის ამ ფორმას შეუერთდებიან "ბურჯანაძე-დემოკრატების" წარმომადგენლები და ამასთან, შიმშილობა დაიწყება საქართველოს სხვა რეგიონებშიც. **"ჩვენ მშვიდობიანი გზით ვიბრძოლებთ მანამდე, ვიდრე მიზანს არ მივაღწევთ. ჩვენ დავანახებთ არსებულ ხელისუფლებას, რომ ქართველი ხალხი იმსახურებს ნორმალურ სახელმწიფოში ცხოვრებას,"** – ასეთია მიხეილ სააკაშვილის პოზიცია.

მომიტინგეები კი პარლამენტის შენობის წინ კვლავ ათენებენ ღამეს და ანსამბლ "ფაზისის" წევრებთან ერთად ხალხური სიმღერის სითბოთი უმკლავდებიან სიცივეს და წვიმას.

# ვინ ეთამაშება ქვეყნის ეკონომიკას?!

## ქვეყნის ეკონომიკურ პრობლემებს საპროტესტო აქციებთან აკავშირებენ

*ბოლო დღეების განმავლობაში საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის ფონზე გავრცელებული ეკონომიკური ხასიათის ინფორმაციები ცხადყოფს, რომ ქვეყანაში უკვე ამუშავდა "პანიკის თესვის" ცნობილი მექანიზმი, რომელმაც საზოგადოებას "დესტაბილიზაციასთან დაკავშირებული ეკონომიკური ხიფათი" უნდა დაანახოს და უნდა "აუხსნას", რომ, მართალია, პარლამენტის წინ შეკრებილი ადამიანების პროტესტი "დამანგრეველ" გავლენას ახდენს ქართულ ეკონომიკაზე.*

თამარ ხორბალაძე

სწორედ ამ ქვეტექსტით ვრცელდებოდა ამ დღეებში ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სახალხო გამოსვლები ლარის კურსზე ახდენს ზეგავლენას - საბაბად კი ლარის 0,2 პუნქტით ვარდნა იქნა გამოყენებული. მიუხედავად იმისა, რომ ლარი უკვე რამდენიმე წელია "მცოცავ რეჟიმშია" გადაყვანილი და მსგავსი ცვლილებები ხშირად სრულიად შეუმჩნევლად ხდება ხოლმე, დღეს ამას "ლარის კურსის ვარდნის" კვალიფიკაცია მიეცა და იგი ჩინოვნიკთა ნაწილმა "პირდაპირ დაუკავშირა" რუსთაველზე შეკრებილ ხალხს.

თუმცა, მას შემდეგ, რაც თავად ეროვნულ ბანკში განაცხადეს და დღევანდელ სიტუაციაში მართლაც ნეიტრალურმა ნოდარ ჯავახიშვილმაც აღნიშნა, რომ მსგავსი გამოსვლები ლარის კურსზე გავლენას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოახდენს, თუ პროცესი უმართავი და დროში ძალიან გახანგრძლივებული გახდა, ვნებათაღელვა ლარის ირგვლივ შედარებით დაცხრა.

სამაგიეროდ, მამალაძის ადგილმონაცვლემ და სხვებმაც გაავრცელეს ინფორმაცია, რომ, თურმე, იმ სამი დღის განმავლობაში, რაც ოპოზიცია მიტინგზეა შეკრებილი, საქართველოში ინვესტიციების რაოდენობამ იკლო. და ამას აცხადებს ხელისუფლება, რომელმაც წლების მანძილზე ინვესტორთათვის არაკონკურენტუნარიანი და არასტაბილური გარემოს შექმნით უკვე კარგა ხანია, უცხოელებს საქართველოში შემოსვლის კომერციული ინტერესი დაუკარგა.

უკვე შაბათიდანვე ვრცელდება ინფორმაცია პურის გაძვირებასთან დაკავშირებით და მიუხედავად იმისა, რომ შაბათს ეს ინფორმაცია არ დადასტურდა, ორშაბათს მსგავსი ინფორმაციების გავრცელება გაგრძელდა.

მეტიც - გუშინ იმის შესახებაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ, თურმე, ამ სამ დღეში საქართველოში იმპორტის მოცულობაც შემცირებულა და ტვირთბრუნვისაც...

მიუხედავად იმისა, რომ გავრცელებული ინფორმაციის დიდი ნაწილი წმინდად პოლიტიკური ხასიათისაა და აშკარა საინფორმაციო ომის მიზანი, როგორც უკვე ვთქვით, ხელისუფლების წინააღმდეგ პროტესტის მძიმე ეკონომიკური შედეგების ახსნაა, შეიძლება, მას ეკონომიკური შედეგი მაინც მოჰყვეს.

ექსპერტების განცხადებით, მოსალოდნელია, მსგავსმა მიზანმიმართულმა საინფორმაციო კამპანიამ ჯაჭვური რეაქცია გამოიწვიოს და თავად ეს ინფორმაცია გახდეს ეკონომიკური ძვრების წინაპირობა. ასეთ შემთხვევაში კი, ვისაც არ უნდა დაბრალდეს ეს, შედეგების პროგნოზირება საკმაოდ ძნელი და არასასიამოვნო იქნება.

**საქართველოს ფინანსთა სამინისტრო**
**სახაზინო სამსახური**

**ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით მიმდინარე წლის 3-7 ოქტომბრის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 3 474.1 ათასი ლარი**

**1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 33.1 ათასი ლარი:**
■ **სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები - 33.1 ათასი ლარი;**
**2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 1 256.0 ათასი ლარი;**
**ძალოვანი სტრუქტურების სექტემბრის თვის შრომის ანაზღაურება - 1 006.0 ათასი ლარი:**
■ თავდაცვის სამინისტრო - 686.0 ათასი ლარი;
■ შინაგან საქმეთა სამინისტრო - 320.0 ათასი ლარი;
**ცენტრალური საარჩევნო კომისია (არჩევნების დაფინანსების ფონდი) - 250.0 ათასი ლარი:**
**3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 2 185.0 ათასი ლარი;**
**საქართველოს პარლამენტი (სხვა საქონელი და მომსახურება - ავტობაზის მუშაკთა შრომის ანაზღაურება) - 35.0 ათასი ლარი;**
**სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო (ენერგეტიკის სექტორის სუბსიდია) - 2 150.0 ათასი ლარი:**
■ ქ. თბილისში გაზგამანაწილებელი ქსელის რეაბილიტაციის პროგრამა - 500.0 ათასი ლარი;
■ ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მხარდაჭერის მიზნით აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში გასულ წლებში მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ნაწილობრივი ანაზღაურება - 1 650.0 ათასი ლარი;

**სულ ხარჯი: 3 474.1 ათასი ლარი**
**1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 33.1 ათასი ლარი:**
■ **სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები - 33.1 ათასი ლარი;**
**2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 1 256.0 ათასი ლარი;**
**3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 2 185.0 ათასი ლარი;**
■ **სხვა საქონელი და მომსახურება - 35.0 ათასი ლარი;**
■ **სუბსიდია - 2 150.0 ათასი ლარი;**

**თბილისი, 380093, მ.ალექსიძის ქ. N1**
**ტელ/ფაქსი: 92-30-03, ელ.ფოსტა: treasury@iberiapac.ge**

ორი სიტყვით

**თბილისი.** გუშინ გარდაბნის თბოელექტროსადგურის მე-9 ენერგობლოკის ექსპლუატაციაში გაშვების სამუშაოები მიმდინარეობდა.

შეგახსენებთ, რომ მე-9 ენერგობლოკი ავარიულად 4 ნოემბერს გამოირთო. თავდაპირველად მისი ამუშავება 2 დღეში იგეგმებოდა, მაგრამ მცირე სარემონტო სამუშაოების გამო ენერგოობიექტის ამუშავება გუშინდელი დღისთვის გადაიდო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო სამმართველოს უფროსის კახა სეხნიაშვილის განცხადებით, ლარის კურსის სტაბილურობასთან დაკავშირებით შეშფოთების "არანაირი სერიოზული საფუძველი არ არსებობს". როგორც მან დღეს "ინტერ-პრესს" განუმარტა, ამჟამად საფინანსო ბაზარზე ეროვნული ვალუტის ზომიერი კორექტირების პროცესი მიმდინარეობს. მისივე თქმით, წინასაარჩევნო პერიოდში შიდა სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის მიწოდება ჭარბობდა, რამაც აშშ დოლარის მიმართ ლარის გაცვლითი კურსის გამყარება გამოიწვია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსთაველის გამზირზე პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე აქციის გამო საქართველოში იმპორტის მოცულობა შემცირდა. საქართველოს საბაჟო-გამშვებ პუნქტებში ტვირთების საგრძნობლად შემცირების ფაქტს საბაჟო დეპარტამენტშიც ადასტურებენ. **"ტვირთების შემოსვლამ აბსოლუტურად ყველა საბაჟო-გამშვებ პუნქტზე იკლო. თურქეთთან დამაკავშირებელი ვალეს საბაჟო კი დიდთოვლობის გამო ჩაკეტილია,"** - განაცხადეს დეპარტამენტში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი** საქართველოს ეროვნული ბანკის ექსპრეზიდენტის, პარლამენტარ ნოდარ ჯავახიშვილის აზრით, ქვეყანაში ლარის კურსის მნიშვნელოვანი დაცემა მოსალოდნელი არ არის და ეროვნული ვალუტის ბედი რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციებზე მეტად ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზეა დამოკიდებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი** ნოდარ ჯავახიშვილის თქმით, ქართველებს, რომლებიც ბაზრობებზე დგანან, ვაჭრობის ეშინიათ, ამიტომ უცხოელ ინვესტორთა თავშეკავება და ქვეყნიდან გაქცევა გასაკვირი არ უნდა იყოს. **"იმედი მაქვს, ყველაფერი მალე დაწყნარდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსთაველის გამზირზე სიტუაცია ისე დუღს, რომ თუ გადმოვიდა, თავზე მარტო ეკონომიკა არ ჩამოგვენგრევა,"** - აღნიშნა მან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი. „ამ დროისათვის ეროვნული ვალუტის კურსის ოდნავი რყევა პროგნოზირებადი და კანონზომიერი პროცესია. ლარის კურსი თავის ნიშნულს უბრუნდება, ვინაიდან არჩევნების წინა პერიოდში ადგილი ჰქონდა უცხოური ვალუტის დიდი ოდენობით მიწოდებას, რამაც ლარის დროებითი გამყარება გამოიწვია,“** — განუცხადა სააგენტო "მედია-ნიუსს" ეროვნული ბანკის სავალუტო სამმართველოს ხელმძღვანელმა კახა სეხნიაშვილმა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**რუსთავი.** "შესაძლოა, რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში განსახორციელებელ პროექტს, რომელიც იტალიურმა კომპანია „არსი-ინტერნეიშენელმა“ უნდა განახორციელოს, საფრთხე დაემუქროს," – განაცხადა ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულმა ზურაბ კობიაშვილმა.

**„ჩემი ინფორმაციით, მილსაგლინავი საამქროს გასაშვებად ყველა პირობაა შექმნილი, ხოლო იტალიელები საქართველოში არსებული პოლიტიკური არასტაბილურობის გამო შეშინებულნი არიან და თავს იკავებენ“,** – აცხადებს რწმუნებული. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ბაზრობებზე მოვაჭრეთა რაოდენობა ჩვეულებრივზე ბევრად ნაკლებია. დღეს არც ეროვნული სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართულა გარე ვაჭრობა. შპს „თერგის“ დირექციაში „მედია-ნიუსს“ აცნობეს, რომ დღესაც ბევრი ჯიხური დაკეტილია, მაგრამ ეს განაპირობა არა რომელიმე ძალის მუქარამ, არამედ საერთო სიტუაციის დაძაბვამ. გარდა ამისა, ბაზრობის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ ორშაბათობით მოვაჭრეთა რაოდენობა ისედაც მცირეა. დაიკლო ცენტრალური სუპერმარკეტის გამყიდველთა რიცხვმაც. სუპერმარკეტის დირექციაში იმავე მიზეზებს – დაძაბულ სიტუაციას, გზებზე შექმნილ ვითარებას ასახელებენ. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ბოლო ორი დღეა, რაც თბილისის ზოგიერთ მაღაზიაში პურის ფასმა ისევ 5 თეთრით მოიმატა. როგორც სააგენტო „მედია-ნიუსს“ მეპურეთა სოლიდარობის კავშირის თავმჯდომარემ ვახტანგ ზენაიშვილმა განუცხადა, პურის გაძვირება ფქვილისა და ხორბლის ფასების გაზრდით არის განპირობებული. ბაზარზე ფქვილის ერთი ტომარა 35-38 ლარი გახდა; საუბარია არაოფიციალურად შემოტანილ, კონტრაბანდულ ფქვილზე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მერი ვანო ზოდელავა უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ დედაქალაქის წინაშე არსებული 3,5 მილიონი ლარის ვალი ფედერალური ბიუჯეტიდან ჯერაც არ დაფარულა, რის გამოც მნიშვნელოვნად დაგვიანდა მიმდინარე პენსიებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომელთა ხელფასების გაცემა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში საპარლამენტო არჩევნების ხელახლა ჩატარებას პედაგოგთა ერთი თვის ხელფასის ოდენობის თანხა სჭირდება. როგორც "ინტერ-პრესს" ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ვასილ გიგოლაშვილმა განუცხადა - ყოველთვიურად, საქართველოს მასშტაბით, პედაგოგების ხელფასებისთვის ცენტრალური ბიუჯეტიდან 6 მლნ. ლარი იხარჯება. ამდენივე თანხა სჭირდება ცსკ-ოს საპარლამენტო არჩევნების ჩასატარებლად. **"არჩევნების ხელახლა ჩატარების შემთხვევაში, თუ ბიუჯეტიდან თანხებს გავცემთ, კანონის დარღვევაც მოგვიწევს, რადგან 2003 წლის ბიუჯეტში ეს თანხები გაწერილი არ არის,"** - განაცხადა გიგოლაშვილმა. **ინტერ-პრესი**

# ამოდის, ნათდება!

ირაკლი ბერიაშვილი

როცა დრო შუაღამეს გადასცდება, როცა წყლით გაჟღენთილ მოედანს ხუთასიოდე კაციღა შემორჩება, როცა აქა-იქ პატარ-პატარა კოცონები დაინთება და ეს რამდენიმე ასეული კაცი გუნდ-გუნდად შეგროვდება ამ თბილი ციცინათელების გარშემო, როცა ყველაზე მეტად მატულობს გაცოფებული ხელისუფლების სურვილი, რამენაირად დაარბიოს ეს პატარა ბანაკი, რომლის დანაშაული მხოლოდ ის არის, რომ ძალიან უყვარს თავისი ქვეყანა, სადღაც, მოედნის მიღმა, ბნელში, ვიღაც თუ რაღაც აყმუვლდება ხოლმე.

ბანაკის გარშემო უამრავი მხეცი დაძრწის. ზოგი ახლომახლო, ზოგი მოშორებით, ზოგნიც სტუდიებსა და კაბინეტებში მოკალათებულნი. ყველა მათგანს ერთი სალაპარაკო და სამიზნე აქვს – კოცონებთან შეგროვებული ადამიანები. ზოგი იარაღს აჟღარუნებს, ზოგი დარბაისლურად აქნევს თავს აქეთ-იქით – რჩევებსა და დარიგებებს იძლევა, ზოგი დუჟმორეული მოითხოვს "წესრიგის დამყარებას".

წესრიგის მთავარ დამამყარებლებში განსაკუთრებით სარიშვილი და მამალაძე გამოირჩევიან. ხროვა მშიერია, სწყურია და წინამძღოლისგან მოქმედებას მოითხოვს. მიზანი ერთი კი აქვთ, მაგრამ მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ყველა თავისებურად იღრინება. ზოგი სულსწრაფია, ზოგს აქედანვე ეშინია, ნადავლის გარეშე არ დარჩეს, ამიტომ ერთმანეთსაც ეჭვით უყურებენ, მაგრამ მთავარი მაინც არ ავიწყდებათ.

მთავარი კი ეს პატარა ბანაკია – ნინო ბურჯანაძე, მაია ნადირაძე, მიშა სააკაშვილი, ზურაბ ჟვანია, დავით ბერძენიშვილი, გიორგი ბარამიძე, კობა დავითაშვილი, ზვიად ძიძიგური, კოტე კემულარია...

ხროვაში დროდადრო ახალგაზრდა, ჯერ კიდევ გამოუცდელი მხეცი წამოჰყოფს ხოლმე თავს. სტუდიაში თბილად მოკალათებულმა ვინმე დავით კოლუაშვილმა ძალიან ხმამაღლა და ძალიან გაბრაზებულმა თქვა, რომ არავის არაფრის უფლებას არ მისცემს. ერთი ფილმის გმირი, 13 წლის ბიჭი მომაგონა, რომელმაც კაცად გახდომა ინატრა და, ჰოი, საოცრებავ, აუსრულდა კიდეც. თუმცა, რად გინდა, გარეგნულად კი იქცა კაცად, მაგრამ კაცური თვისებები ვერ შეიძინა.


გათენების მოლოდინში

არც ისე ახალგაზრდა, მაგრამ ჯერ კიდევ ჯან-ღონით სავსე მამალაძე და რჩეულიშვილი შიშობენ, რომ ბანაკი გაიზრდება და ბუნაგებში დაგროვებულ მათ ნაალაფარს ხიფათი დაემუქრება.

ავისმომასწავებლად გაისმა ბებრების ხრინწიანი ხმაც. გიგა ლორთქიფანიძე ისევ თავისას ერეკება – სისხლს დაღვრიანო. საბაბს ეძებთ, ბატონო გიგა? ეზოპესა და კრილოვის თუ არა, აკაკის "მგელი და კრავი" მაინც გექნებათ წაკითხული – შარს ეძებთ? ხომ არ გგონიათ, დაგვავიწყდა, როგორ მოითხოვდით "კომუნისტის" ფურცლებიდან არაფორმალების დახვრეტას!

არაფერი უცნაური არ არის იმაში, რომ იდეოლოგები სწორედ მხეცებს სჭირდებათ. განსაკუთრებით მოაზროვნე მხეცებს.

ამ ბოლო დროს ძალიან დაწინაურებულმა ძუ მგელმა, კაცმა არ იცის, რა მანქანებით, მაგრამ მაინც გამოითვალა – მიშას პრობლემა ორ-სამ დღეში მოიხსნებაო. ამას წინ უძღოდა ხელმძღვანელის არც ისე საშიში ფრაზა – სააკაშვილი ძალიან საშიში კაციაო. ხელისუფალნი კონკრეტულ პიროვნებებზე კი მიუთითებენ, მაგრამ კონკრეტულ დავალებებს არ იძლევიან. ყოველ შემთხვევაში – ხმამაღლა.

მაინც რა გინდათ ახლა მაგით თქვათ, მაგასაც გია ჭანტურიასავით მოკვლას უპირებთ?

...როცა დრო შუაღამეს გადასცდება, როცა აქა-იქ პატარ-პატარა კოცონები დაინთება, სადღაც, მოედნის მიღმა, ბნელში, ვიღაც თუ რაღაც აყმუვლდება ხოლმე. უამრავი მხეცი დაძრწის ბანაკის გარშემო. კბილები უკაწკაწებთ, მაგრამ ვერ ბედავენ ახლო მისვლას – კოცონების სინათლე აშინებთ. სინათლე და ორ ნაძვთან დაბანაკებული, ვიდეოკამერებით შეიარაღებული გუნდი.

ვერ გეტყვით, რა არის მთავარი – შენება თუ აშენებულით ტკბობა. ჩემთვის გამარჯვებისთვის ბრძოლაშია ეშხი. ამიტომ ძალიან მიყვარხართ თქვენ ყველანი, შენ, გია და მაია, ნინო და გიგი, და თქვენ, რუსთავი 2-ის გათოშილო გოგო-ბიჭებო!

მაგრად იდექით, საცაა გათენდება!

# ნიკო ლეკიშვილი: "დათმობაზე ხელისუფლება უნდა წავიდეს..."

"24 საათი" გუშინ ყოფილ სახელმწიფო მინისტრს, დღევანდელი და ხვალინდელი პარლამენტის დამოუკიდებელ დეპუტატს ნიკო ლეკიშვილს დაუკავშირდა და სთხოვა კომენტარი იმის თაობაზე, თუ რა გამოსავალს ხედავს დღეს საქართველოში მიმდინარე მოვლენებიდან. ტრადიციულად, ბატონი ნიკო შეფასებებში ზომიერი გახლდათ:

**"მიმაჩნია, რომ დღეს სიტუაციის განმუხტვისთვის აუცილებელია კომპრომისზე წასვლა და, პირველ რიგში, ამ კომპრომისზე უნდა წავიდეს ხელისუფლება. დღეს არის შექმნილი ჩიხური მდგომარეობა. შეიძლება არ მომწონდეს არც ერთი მხარის მოქმედება, მაგრამ შექმნილია უკვე არსებული რეალობა და მოქმედება უნდა მოხდეს ამ რეალობის შესაბამისად.**

**არარეალურად მიმაჩნია მთელი არჩევნების შედეგების გაუქმება და მისი გადატანა, მაგრამ ბევრ უბანში, ბევრ ოლქში უნდა გადაიხედოს შედეგები, მოხდეს გადათვლა...**

**მე არ გამოვყოფდი მარტო აჭარას - აჭარაში ყოველთვის იყო ასეთი სიტუაცია და არ ვფიქრობ, რომ მხოლოდ აჭარაშია პრობლემა. დანარჩენ საქართველოშიც ძალიან საეჭვოა არჩევნებზე მომსვლელთა რიცხვის გაზრდა - ჯერ საუბრობდნენ იმაზე, რომ 1 მილიონ 700 ათასი ამომრჩეველი მოვიდა არჩევნებზე და ახლა ამ ციფრის 2,1 მილიონამდე გაზრდა უნდათ.**

**არის ბევრი უბანი და ოლქი, არის ბევრი საკითხი, სადაც შეიძლება სიტუაციის გამოსწორება და ხელისუფლება ამაზე უნდა წავიდეს. დღეს მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. დღეს იგი უნდა წავიდეს დათმობაზე, რადგან შექმნილია ისეთი სიტუაცია, რომ პრობლემა ეხება არა ერთ და ორ ცალკე აღებულ ადამიანს და პოლიტიკურ ფიგურას თუ პარტიას, არამედ საზოგადოების დიდ ნაწილს. ვინ რომელ პარტიაშია, ვინ ხელისუფლებაშია და ვინ - ოპოზიციაში, ეს დღეს არ არის მთავარი.**

**რაც ყველაზე მთავარია, შექმნილი მძიმე სიტუაციის მიუხედავად, მე ორივე მხარეს ვხედავ ადამიანებს, რომლებიც ვითარებას სწორად აფასებენ".**

# ძალადობისადმი წინააღმდეგობა ადამიანის მოვალეობაა...

**ლაშა ბაქრაძე, ისტორიკოსი:** ვფიქრობ, ახლა პოლიტიკურად ბრმა ადამიანებისთვისაც კი ცხადია, რომ შევარდნაძის ხელისუფლება საბოლოოდ გაკოტრდა, მაგრამ ყველა საშუალებით ცდილობს და ეცდება შეინარჩუნოს ძალაუფლება.

დღეს განზე დგომის და მერე თავის მართლების დრო აღარ არის. ბრძოლა მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის ბნელ წარსულსა და იმედიან მომავალს შორის.

საჭიროა, იმ ადამიანებმა, რომლებიც დღემდე ხელისუფლების მხარეზე დგანან ან გაჩუმებულნი არიან – სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებმა ხმა ამოიღონ და ჩამოშორდნენ იმ ხელისუფლებას, რომელიც ყველაფერზე მიდის სკამების შესანარჩუნებლად. მათი ქვეყნის, მათი შვილების ბედიც წყდება და მჯერა, რომ ეს ადამიანები სინდის-ნამუსისაგან სრულიად დაცლილნი არ არიან. სახელმწიფო ადმინისტრაციის ქვედა ეშელონების წარმომადგენლებმა მაინც უარი უნდა თქვან ქვეყნის დაღუპვაში მონაწილეობაზე. საარჩევნო კომისიების წევრებმა და თავმჯდომარეებმა გაილაშქრონ სიყალბისა და ტყუილის წინააღმდეგ, აღიარონ თავიანთი შეცდომები და შეცოდებანი. ხელისუფლების პატიოსანი წევრები გაემიჯნონ ხელისუფლებას. ეს არის ჩემი იმედი და შესაძლებელი გზა თავისუფლებისაკენ.

ასევე ვფიქრობ, რომ მასობრივი მედიის წარმომადგენლებმა უნდა გადასინჯონ თავიანთი პოზიცია. არ შეასრულონ ბრმად ხელისუფალთა მოთხოვნები და თუ მათ ამას აიძულებენ, გაიფიცონ.

ჩემი ღრმა რწმენით, ბოროტებისა და ძალადობისადმი წინააღმდეგობა ადამიანის მოვალეობაა.

ჩემი აზრით, საჭიროა, იყოს ორი კონკრეტული მოთხოვნა:

1. გაუქმდეს არჩევნების შედეგები ქვემო ქართლსა (ბოლნისსა და მარნეულში) და აჭარის ორ საარჩევნო ოლქში – ქობულეთსა და ბათუმში - რაიონებში, სადაც განსაკუთრებით გაყალბდა არჩევნების შედეგები. ამისათვის არსებობს საკმარისი იურიდიული საფუძველი და საჭიროა პოლიტიკური ნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძველი პარლამენტი იქნება ისევ უფლებამოსილი და ამ პარლამენტისგან არ არის მოსალოდნელი დემოკრატიული არჩევნების ჩატარება - თუნდაც გაზაფხულზე.

2. თუ პრეზიდენტი ამ მოთხოვნას არ ან ვერ დაუჭერს მხარს, მაშინ მისი გადადგომა ერთადერთი გამოსავალია მოცემული მდგომარეობიდან.

ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ არ მოხდეს კონსტიტუციური ვაკუუმის შექმნა და ის დესტაბილიზაცია, რომლითაც ასე გვაშინებენ.

# ყველა კაცს, ვინც არის სამთავრობო ბლოკში

სოზარ სუბელიანი

მე მივმართავ იმ პატიოსან ადამიანებს, რომლებიც არიან სამთავრობო ბლოკში. მე ვიცნობ რამდენიმე კაცს სამთავრობო ბლოკიდან, ვისაც აქვს სინდისი და კაცობა და ვისი პატიოსნებისა და ვაჟკაცობისაც მჯერა. მე შემიძლია გავიგო, როგორ აღმოჩნდნენ ისინი სამთავრობო ბლოკში, მაგრამ ვერასოდეს გავიგებ, რატომ არიან ისინი დღესაც შევარდნაძის გვერდით და რატომ ებღაუჭებიან იმ ადგილს, რომელიც მათ შევარდნაძემ უწყალობა.

მე კარგად მესმის, რატომ ეჭიდება პრეზიდენტი შევარდნაძე თავის სკამს ასე გამწარებით. არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი სკამის გარეშე ვერ ძლებს: ადრე მას შეეძლო, დაეტოვებინა სკამი, რადგან მაშინ ეს გადადგომა მისი გამარჯვების ტოლფასი იყო, ყოველ შემთხვევაში, მორალურად მაინც. დღეს კი, ვინ იქნება ედუარდ შევარდნაძე გადადგომის შემთხვევაში? კაცი, რომელიც შერცხვენილი წავიდა თანამდებობიდან – ვერშემდგარი დიქტატორი და უილბლო გამყალბებელი; კაცი, რომელსაც ჰქონდა შანსი, დაეფუძნებინა ქართული სახელმწიფო და რომელმაც ეს ვერ მოახერხა; კაცი, რომელმაც ისე დაარღვია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, რომ მისი აღდგენა არა თუ განჭვრეტად მომავალში, არამედ შორეულ პერსპექტივაშიც სათუო ჩანს; კაცი, რომლის სახელსაც უკავშირდება ქვეყნის გაჩანაგება, საკუთარი ოჯახისა და ოჯახური კლანის გამდიდრება ხალხის გაღატაკების ხარჯზე, პოლიციის კრიმინალიზაცია და კრიმინალთა პოლიტიკაში აღზევება... შევარდნაძემ იცის, რომ თანამდებობის დატოვება მას ძალიან ძვირად დაუჯდება და ამიტომაც ებღაუჭება სკამს.

მე კარგად მესმის ლევან მამალაძის, ვახტანგ რჩეულიშვილის, ვიტალი ხაზარაძის, თამაზ გიორგაძის... მათ კარგად იციან, რომ თუ ხელისუფლებას დათმობენ, არც მოპარულ მილიონებს შეარჩენს ვინმე და არც თანამდებობებსა თუ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენილ უტიფრობას. ამიტომაც ისინი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებენ, რათა არა მხოლოდ მოპოვებული შეინარჩუნონ, არამედ კიდევ მეტი მოიპოვონ და მოიპარონ.

მე შემიძლია გავუგო ირინა სარიშვილსა და ირაკლი ბათიაშვილს – მათ გაცილებით მეტი აქვთ დასაკარგი, ვიდრე ზემოთ ჩამოთვლილ სუბიექტებს. ვერც მოპარული მილიონების დაკარგვისა და ვერც დაპატიმრების შიში ვერ შეედრება იმ ძრწოლას, რასაც საკუთარი არარაობის შეგრძნების საფრთხე იწვევს.

ვინ არიან ირინა სარიშვილი ან ირაკლი ბათიაშვილი პარლამენტის ტრიბუნის გარეშე? პოლიტიკურ ასპარეზზე ისინი სრულიად გაკოტრდნენ და ისღა დარჩენიათ, იმას მიეკედლონ, ვინც არ ითაკილებს მათ გვერდით დგომას. ასეთი დღეს მხოლოდ შევარდნაძე და მისი ხელისუფლებაა, რომელთაც შეიფარეს ეს ორი, ეროვნული მოძრაობის აწ უკვე გაკოტრებული და ყავლგასული გვარდიელი. მათ კარგად იციან, რომ შევარდნაძის ხელისუფლება უკვე გაკოტრდა, მაგრამ ვერ წარმოიდგენდნენ, თუ პრეზიდენტის რესურსი არჩევნების "წესიერად" გაყალბებასაც არ ეყოფოდა. ხოლო როცა არჩევნებში დამარცხებულმა ხელისუფლებამ პირდაპირ დაიწყო მისთვის სასურველი შედეგების გამოცხადება, სარიშვილი და ბათიაშვილი იძულებულნი გახდნენ, ყველაზე კატეგორიულად დაუჭირონ მხარი ამგვარ უტიფრობას. უფრო კატეგორიულად, ვიდრე ამას მამალაძე და რჩეულიშვილი აკეთებენ, რადგან მათ მეტი აქვთ დასაკარგი: პოლიტიკოსისთვის ყველაზე მძიმე ისაა, როცა მისი სახელი სიცოცხლეშივე ეძლევა დავიწყებას.

მე მესმის ყველა იმ ადამიანის, ვისაც კაცური არაფერი შერჩა და ეს არ ანაღვლებს, მაგრამ მე არ მესმის მათი, ვისაც, სამთავრობო ბლოკში ყოფნის მიუხედავად, ღირსება ჯერ კიდევ შერჩენია. ვისაც, სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობის მიუხედავად, არ გაუსვრია სახელი არც კორუფციით, არც მლიქვნელობითა და არც კარიერისადმი უსაზღვრო სწრაფვით. მე არა მგონია, ისინი ვერ ხვდებოდნენ, რომ დღეს ხალხი უპირისპირდება შევარდნაძეს და არა პოლიტიკოსთა ერთი ჯგუფი; რომ არჩევნების უტიფარმა გაყალბებამ აღაშფოთა მთელი საზოგადოება და არა მხოლოდ ის ხალხი, ვინც წვიმასა და სიცივეში ფეხმოუცვლელად დგას პარლამენტის წინ და საკუთარი ხმის დაცვას ითხოვს.

გაიკითხეთ თქვენ ნაცნობებში, მეზობლებში, ნათესავებში – ვინ უჭერს მხარს შევარდნაძეს და, თუ ასეთ ადამიანს აღმოაჩენთ, ისიც ჰკითხეთ – რატომ აკეთებს იგი ამას. თუ ამას გააკეთებთ, კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, რომ მთელი საქართველო ზუსტად ისე ფიქრობს, როგორც პარლამენტის წინ მდგარი საზოგადოება. გადადგით ეს ნაბიჯი და თქვენ კიდევ ერთხელ დარწმუნდებით იმაში, რაც ისედაც კარგად იცით: რომ დღეს მთელი ქართული საზოგადოება უპირისპირდება შევარდნაძეს; რომ დღეს შევარდნაძის გვერდით დგომა მთელი ქართველი ხალხის წინააღმდეგ წასვლას ნიშნავს; რომ დღეს შევარდნაძის გვერდით დგომა, თუნდაც პასიურად, ისეთი სირცხვილია, რომელსაც ვერასდროს ჩამოირეცხავთ; რომ ხვალ თქვენი კაცობა სწორედ იმით გაიზომება, თუ რა ნაბიჯს გადადგამთ დღეს.

# ჩვენი მოთხოვნა ბუნებრივია და ლოგიკური

ვახტანგ მაჭავარიანი
*დირიჟორი*

**- ბატონო ვახტანგ, უერთდებით აქციის მოთხოვნას, რომ პრეზიდენტი შევარდნაძე უნდა გადადგეს?**

- საერთოდ, მე პრინციპულად ველოდები იმ დღეს, როდესაც დაგვანებებს თავს შევარდნაძე. ჩემთვის მთავარია დემოკრატიული პრინციპების დაცვა. აქ ამიტომ მოვედი. მე ვარ თავისუფალი ადამიანი და ამით ვარ ბედნიერი. აქედან გამომდინარე, მე ვიცავ დემოკრატიულ პრინციპებს. თუ პრეზიდენტის წასვლა კონსტიტუციურად და სამართლებრივად სწორია, მაშინ მე თანახმა ვარ. თუ არ არის სწორი, მაშინ მე თავს შევიკავებ.

**- გუშინ პრეზიდენტი თბილისს გაეცალა...**

- ფაქტი ის არის, რომ პრეზიდენტს აქვს უფლება, წავიდეს, სადაც მას სურს. მაგრამ, ვუსმინე ტელევიზიით იქაურ სულისკვეთებას, რამაც ძალზე გამაკვირვა და გამაოცა. მათ გამოსვლებში ვერაფერი დემოკრატიულობისა ვერ შევიგრძენი, ვერ დავყნოსე, ვერც მოვისმინე. ამდენად ძალიან გაკვირვებული ვარ, საერთოდ, ამ სიტუაციაში როგორ მიატოვა თავისი მთავარი ქალაქი, პოსტი და წავიდა.

**- თუ ხედავთ რეალურ ძალას, რომელსაც შეუძლია ქვეყნის ბედი ჩაიბაროს?**

- იმ ძალას მივცემ უპრატესობას, რომელიც საქართველოში დემოკრატიული პრინციპების განვითარებას უდგას გვერდში. მე მგონი, აქ, პარლამენტის შენობასთან მდგომმა ხალხმა საქართველო დემოკრატიის გზით უნდა წაიყვანოს.

**- ვინ უნდა მოვიდეს ამ აქციებზე? როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს, თუნდაც, შემოქმედ ადამიანს?**

- პირადად მე აქ ვარ. პირველად არ მოვსულვარ. ბუნებით ის ადამიანი არ ვარ, რომელიც აქ დადგება და აღარ წავა. მე აქ ვივლი, გავუზიარებ აზრს ყველას. მხარს ვუჭერ იმას, ვინც დემოკრატიისთვის იბრძვის, ვინც წინ აღუდგა დიქტატორულ ტენდენციებს.

ლია შელია
*მხატვარი*

**- ქალბატონო ლია, რა არის თქვენი აქციაზე ყოფნის ძირითადი მიზეზი?**

- აქცია იმიტომ დაიწყო, რომ მოგვატყუეს. ეს არ იყო დემოკრატიული არჩევნები. აქ იმის გამო ვდგავარ, რომ ხმები გააყალბეს.

**- უერთდებით თუ არა აქციის მოთხოვნას, გადადგეს დღევანდელი მთავრობა?**

- ეს მოთხოვნა ბუნებრივია და ლოგიკური შედეგია ქვეყანაში არსებული მდგომარეობის. თუ მთავრობა არ აღიარებს, რომ არჩევნები გააყალბა, მაშინ ის უნდა გადადგეს. თუ გავითვალისწინებთ, რაც გუშინწინ თქვა შევარდნაძემ, - ვერაფერს და ვერც ერთ მინისტრს ვერ ვაკონტროლებო, - ამის შემდეგ, პრინციპში, ჩვენ აღარ გვყავს პრეზიდენტი.

**- როგორ გგონიათ, ამ აქციებს შეუძლია მიაღწიოს თავის მიზანს?**

- კი, აუცილებლად. რაც მეტი ხალხი გამოხატავს თავის რეალურ მხარდაჭერას სიტყვით, მით უკეთესი იქნება - მოვლენები დაჩქარდება.

ფოსტა

# განერიდე მათ, ჩემო ხალხო...

ძვირფასო მკითხველო, გთხოვ, კარგად დაუკვირდი უფსკრულის პირას მდგარ საქართველოს და დაუსვი შენს თავს ერთადერთი კითხვა - ვინ მიიყვანა საქართველო კატასტროფამდე? ამ კითხვაზე ჭეშმარიტი პასუხის მიღება რომ გაგიადვილდეს, მოკლედ აღვწერ ყველაფერს, რაც დღეს ხდება საქართველოში:

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დანგრეულია - მისი ტერიტორიის ერთ მესამედზე მეტი მოწყვეტილია დედა საქართველოს, ხოლო იქედან აყრილი ქართველები უკიდურეს სიღატაკეში ცხოვრობენ;

სახეზეა შუასაუკუნეობრივი ფეოდალური პარტიკულარიზმის იდეოლოგიისაკენ ლტოლვის მცდელობები საქართველოს სხვა კუთხეებში;

საქართველოს მოსახლეობის 95-96 პროცენტი სიღატაკის ზღვარს ქვემოთაა. ქვეყნის მართვის უმაღლესი სადავეები კორუმპირებული სახელმწიფო ჩინოვნიკების ხელთაა - ხდება ხელისუფლების სრული კრიმინალიზაცია: ე.წ. კანონიერი ქურდები და ხელისუფლების მიერ დანიშნული, ასევე, კანონიერი ყაჩაღები ძარცვავენ ქართველ ერს;

მოსახლეობის, თითქმის, ერთმა მეოთხედმა ვერ გაუძლო ქვეყანაში გამეფებულ სიღატაკეს, უსამართლობას და ემიგრაციაში წავიდა.

უმუშევრობა, ქვეყნის ეკონომიკა, ეკოლოგია უკიდურეს ზღვარზეა - საქართველოს ხელისუფლების ლოცვა-კურთხევით, საქართველოს ენერგეტიკა სხვა ქვეყნის მარყუჟებში მოექცა;

მოხდა ქართული საზოგადოების სრული სოციალური პოლარიზაცია.

გეკითხებით: ასეთ, ხელისუფლებას, რომელიც ერის წინაშე ჩადენილი უმძიმესი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მიეცეს, აქვს თუ არა უფლება, შეაკოწიწოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად სახელისუფლებო ბლოკი და იბრძოლოს იმისათვის, რომ არჩევნებიდან გამარჯვებული გამოვიდეს?

რომ არა გაყალბება, სახელისუფლებო ბლოკი არამც თუ გამარჯვებას, შვიდპროცენტიანი ზღვრის გადალახვასაც ვერ მოახერხებდა. სწორედ ამიტომ, ხელისუფლება აშკარად დაადგა აშკარა შანტაჟის გზას. ამასთან, წამოიწყო ოპოზიციონერ პარტიების ლიდერთა წინააღმდეგ ცილისმწამებლური კამპანია დევიზით: გამარჯვება ნებისმიერი საშუალებით.

სახელისუფლებო ბლოკის ლიდერები ოპოზიციის ლიდერების რეპუტაციის ლაფში ამოსვრას ცდილობენ და ცდილობენ, სახელი გაუტეხონ ყველას, ვინც რეალურ საფრთხეს უქმნის მათ განცხრომით არსებობას; აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ სახელისუფლებო ბლოკში ბევრი ღირსეული პიროვნებაცაა - სწავლულ-მეცნიერები, პატიოსანი პოლიტიკოსები. მაგრამ, სამწუხაროდ, მთლიანობაში ეს ბლოკი მაინც მოიაზრება "მეძავ" პოლიტიკოსთა, ოლიგარქთა, სხვადასხვა ჯურისა და რანგის კრიმინალთა, ხალხში სახელგატეხილ ავტორიტეტდაკარგულ სუბიექტთა საკრებულოდ, რომლებიც წამდაუწუმ ღალატობენ პრინციპებს, ქვეყანასა და სინდისს.

გამოსავალი შემდეგშია – კრიმინალი და "მეძავი" პოლიტიკოსები ხელისუფლებიდან უნდა წავიდნენ; პრეზიდენტი კი მის პატივაყრილ თანაგუნდელებთან ერთად საკუთარი ნებით შეელიოს მართვის სადავეებს და გადადგეს.

"განერიდე მას, ჩემო ხალხო, რათა არ ეზიარო მათ ცოდვას" (იოანეს გამოცხადება 18,4).

**დავით დოლბაძე**
***დოცენტი, თსსუ-ს სოხუმის ფილიალის სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე***

# მსოფლიო პრესა საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ



### "ვაშინგტონ პოსტი"

### საქართველოში არჩევნებმა ურთიერთდაპირისპირება გამოიწვია

"საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე კვირას, ღამით, ოპოზიციის ლიდერებს შეხვდა. დაძაბულობა იზრდება ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში, სადაც დემონსტრანტები პარლამენტის შენობასთან არიან შეკრებილები და ხელისუფლებას გასულ კვირას ჩატარებული არჩევნების გაყალბებაში სდებენ ბრალს.

ტელევიზიით გამოსვლისას შევარდნაძემ განაცხადა, რომ ის არ გადადგება, რადგანაც **"მას არ შეუძლია ხელისუფლებაში დაუშვას იმ ხალხის მოსვლა, ვინც დაანგრევს და გაანადგურებს ყველაფერს."**

ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა შევარდნაძემ განაცხადა: **"მე ქართველი ხალხის მიერ ვარ არჩეული და არ ვაპირებ გადადგომას ცალკეული პოლიტიკოსების და რამდენიმე ათეული ახალგაზრდის მოთხოვნით, რომლებიც დროშებს აფრიალებენ."**

შევარდნაძე ოპოზიციის ლიდერებს ნინო ბურჯანაძეს, მიხეილ სააკაშვილს და ზურაბ ჟვანიას შეხვდა.

პარლამენტის სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ შეხვედრამდე განაცხადა, რომ პრეზიდენტმა უნდა გააცნობიეროს, რომ არჩევნები გაყალბდა, დანიშნოს ახალი არჩევნები და დასაჯოს ის ოფიციალური პირები, რომლებსაც არჩევნების გაყალბებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ.

სააკაშვილი, რომელიც არჩევნების შემდეგ თბილისში გამართული რამდენიმე საპროტესტო დემონსტრაციის მთავარი ფიგურაა, შევარდნაძის გადადგომას ითხოვს. შეხვედრის შემდეგ მან განაცხადა, რომ შევარდნაძემ უარყო მათი მოთხოვნა არჩევნების შედეგების გაუქმების თაობაზე.

არჩევნების შედეგების თანახმად, სახელისუფლებო ბლოკს "ახალი საქართველოსთვის" ხმების 21 პროცენტი აქვს და ოდნავ უსწრებს ოპოზიციურ "აღორძინების პარტიას", რომელსაც 20 პროცენტი აქვს.

### ინტერნეტ-გამოცემა "გაზეტა. რუ"

### "ვითარება საქართველოში რეალურად უმართავი გახდა"

ეს კვირას, საღამოს, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ აღიარა. დღეს ოპოზიცია კვლავ აგრძელებს საპროტესტო აქციას პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნით. მისი მოლაპარაკებები ოპოზიციასთან უშედეგოდ დასრულდა. შესაძლებელია, იმიტომაც, რომ ამ შეხვედრამდე შევარდნაძე ვლადიმირ პუტინს ესაუბრა.

### "ლიბერასიონი"

პატარა კავკასიური რესპუბლიკა, რომელიც მძიმე ეკონომიკურ ვითარებაში იმყოფება, მაგრამ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ახალ სტრატეგიულ თამაშში, რომელიც რეგიონში აშშ-სა და რუსეთს შორის მიმდინარეობს, კვლავ ქაოსის საფრთხის წინაშე დგას. შაბათს და კვირას ათი ათასამდე მანიფესტანტი გამოვიდა ქუჩებში და პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომა მოითხოვა, რომელიც 75 წლისაა და თავისი პოტენციალი უკვე ამოწურა. **"ვითარება კონტროლიდან გამოვიდა,"** - აღიარა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ.

**"ჩვენ არ დავიშლებით, ვიდრე შევარდნაძე არ გადადგება,"** - დაიმუქრა ოპოზიციის ლიდერთაგან ყველაზე რადიკალურმა, 35 წლის მიხეილ სააკაშვილმა. მას შევარდნაძის მთავრობაში ადრე მინისტრის პოსტი ეკავა, მიღებული აქვს განათლება ჰარვარდში და პროდასავლურ ლიდერად ითვლება.



### ინგლისურენოვანი "ბიბისი"

### საქართველოს პრეზიდენტი მხარდაჭერას ეძებს

დემონსტრანტები თბილისის ქუჩებში მსვლელობას კვლავ აგრძელებენ, რადგანაც საქართველოს საარჩევნო კრიზისი კვლავ გადაუჭრელია.

პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მხარდაჭერის მოსაპოვებლად რეგიონულ ლიდერს ასლან აბაშიძეს შეხვდა, რომელიც გაურკვეველ არჩევნებში მეორე ადგილზე იმყოფება.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა შევარდნაძეს თავისი მხარდაჭერა შესთავაზა.

კვირას შევარდნაძესა და ოპოზიციის ლიდერებს შორის გამართული მოლაპარაკება კოლაფსით დასრულდა. ორსაათიანი უშედეგო მოლაპარაკების შემდეგ, ოპოზიციის ლიდერებმა თავიანთ მხარდამჭერებს პროტესტის გაგრძელებისკენ მოუწოდეს.

უდიდესი ოპოზიციური ბლოკის "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ პრეზიდენტთან დისკუსია დროის გაფლანგვაა.

შევარდნაძემ კი მოლაპარაკებას "დაძაბული, მაგრამ საინტერესო" უწოდა და ოპოზიციის ლიდერებს კვირის ბოლოს კვლავ შესთავაზა შეხვედრა. ოპოზიციის ასობით მხარდამჭერმა კვირა ღამე დედაქალაქის ქუჩებში გაატარა.

ისინი აცხადებენ, რომ იქამდე არ დაიშლებიან, ვიდრე ხალხის გამაუბედურებელი მთავრობა არ გადადგება. ისინი აცხადებენ, რომ გასული კვირის არჩევნები გაყალბდა და უნდა გაუქმდეს, მაგრამ შევარდნაძე მათ მოთხოვნას უარყოფს.

ორშაბათს პრეზიდენტი აბაშიძესთან შესახვედრად გაემგზავრა, რომლის ბლოკსაც, "აღორძინებას", საარჩევნო კომისიის მონაცემებით, მეორე ადგილი უკავია.

აბაშიძე შევარდნაძეს დაჟინებით სთხოვს, რომ დემონსტრანტთა წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომები გამოიყენოს.

### რუსულენოვანი "ბიბისი"

პრეზიდენტსა და ოპოზიციის ლიდერებს შორის კვირას გამართულმა მოლაპარაკებებმა არსებული ვითარება კიდევ უფრო გაამწვავა. "ჩვენ ორი საათი დავკარგეთ," - თქვა იმედგაცრუებულმა სააკაშვილმა პრეზიდენტთან აუდიენციის გამოსვლის შემდეგ. "შევარდნაძეს არა აქვს პასუხები იმ კითხვებზე, რომლებიც ოპოზიციას აწუხებს," - საუბრით ასევე უკმაყოფილო იყო პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე.

ოპოზიციურ პარტიათა ლიდერებმა თქვეს, რომ საპროტესტო აქციები გაგრძელდება. აქციის მესამე დღეს ათასობით ადამიანი, სიცივისა და წვიმის მიუხედავად, პარლამენტის შენობის წინ დგომას აგრძელებდა. ისინი ამბობენ, რომ იდგებიან მანამ, ვიდრე პრეზიდენტი არ გადადგება.

ოპოზიციის ლიდერთა აზრით, 2 ნოემბრის არჩევნები გაყალბდა და ამიტომ ისინი უნდა გაუქმდეს. პრეზიდენტი შევარდნაძე კი ამ მოთხოვნას უარყოფს. მისი თქმით, გადაწყვეტილება არჩევნების შედეგების შესახებ მხოლოდ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შეიძლება მიიღოს. იგი ასევე ირწმუნება, რომ გადადგომას არ აპირებს.

სააკაშვილს მიაჩნია, რომ პრეზიდენტი კომპრომისით არაა დაინტერესებული და ქვეყანას სამოქალაქო დაპირისპირებისაკენ მიაქანებს. მან უარი თქვა შევარდნაძის წინადადებაზე, შეიქმნას ერთობლივი კომისია არჩევნების დროს დარღვევების გამოძიების მიზნით. "ჩვენ უნდა ვიყოთ ერთად, რათა ხვალ და ზეგ არ ჩაგვითრიონ სამოქალაქო ომში და კონფრონტაციაში. ჩვენ გვსურს მშვიდობა და მას მხოლოდ ერთი გზით, ამ პრეზიდენტის მოშორებით მივაღწევთ," - თქვა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ლიდერმა.

თავის მხრივ, პრეზიდენტმა ოპოზიციის ლიდერებთან შეხვედრას "დაძაბული, თუმცა - საინტერესო" უწოდა. "მე არ შემიძლია არჩევნების შედეგების გაუქმება. მე ამის უფლება არა მაქვს და ამაში მე რაიმე ტრაგედიას ვერ ვხედავ," - თქვა პრეზიდენტმა.

### "გარდიანი"

ათასობით ადამიანი აგრძელებს დემონსტრაციას პარლამენტის წინ. ხალხი უარს ამბობს, შეურიგდეს არჩევნების გაყალბებას. თავდაცვის მინისტრი თევზაძე აცხადებს, რომ ვითარება, "პრაქტიკულად, კონტროლს აღარ ექვემდებარება".

ხალხი ქუჩებში არჩევნებიდან მეექვსე დღეს გამოვიდა, როდესაც გამოჩნდა, რომ "აშკარად გაყალბებულ" არჩევნებში პრეზიდენტის მომხრე ბლოკი "ახალი საქართველოსათვის" იმარჯვებდა.

ქართველები თავიანთ პრეზიდენტს კორუფციაში ადანაშაულებენ, რამაც ისინი უშუქოდ და 20-ფუნტიანი ხელფასების ამარა დატოვა.

### "ინდეპენდენტი"

საქართველოს პრეზიდენტი პოლიტიკური გადარჩენისათვის იბრძვის, მაშინ, როდესაც პარლამენტის წინ შეკრებილი ათასობით ადამიანი მის გადადგომას მოითხოვს.

გუშინ შევარდნაძე თავად მივიდა მიტინგზე, რომელსაც მისდამი მტრულად განწყობილი ხალხი ატარებდა და იქ შეკრებილ ადამიანებს პირისპირ ელაპარაკა. ეს გაბედული ნაბიჯია იმ ადამიანისათვის, რომელიც ბოლო ათ წელიწადში ორ თავდასხმას გადაურჩა, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს იმის ნიშანია, რომ "თეთრი მელა" თანამდებობის შესანარჩუნებლად ყველაფრისათვის მზადაა.

400-მდე დასავლელმა დამკვირვებელმა დაგმო არჩევნები და განაცხადა, რომ უამრავი დარღვევა დაფიქსირდა. საჩივრების გამო ცესკო-მ ხმების დათვლა შეაჩერა.

მთელ ქვეყანაში ოპოზიციის აქტივისტები გამოვიდნენ მოთხოვნით, გაუქმდეს კენჭისყრის შედეგები და დაინიშნოს ახალი არჩევნები. ქართველები პრეზიდენტს ადანაშაულებენ იმ სიღარიბისა და უმუშევრობისათვის, რომელმაც ერთ დროს მდიდარი სახელმწიფო მოიცვა.

## ორი სიტყვით

**ჟენევა**. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ აშშ-ს მიერ ფოლადის იმპორტზე დაწესებული ტარიფები უკანონოა. ევროკავშირი ვაშინგტონს მაშინვე სერიოზული სანქციებით დაემუქრა, თუ ტარიფები სასწრაფოდ არ გაუქმდება. ბრიუსელი აცხადებს, რომ 2,2 მილიარდ დოლარ საბაჟო ტარიფს დააწესებს ისეთ ამერიკულ საქონელზე, რომელიც ვაშინგტონში მაქსიმალურ პოლიტიკურ აჟიოტაჟს შექმნის.

■ ■ ■

**ერ-რიადი**. ამერიკელი ოფიციალური პირების განცხადებით, ალ-ქაიდა საუდის არაბეთის პროდასავლური სამეფო ოჯახის დამხობას ცდილობს. საპასუხოდ, ერ-რიადმა განაცხადა, რომ ქვეყანაში დესტაბილიზაციას არ დაუშვებს.

"სავსებით აშკარაა, რომ ალ ქაიდა სამეფო ოჯახისა და საუდის არაბეთის მთავრობის დამხობას ცდილობს," – განაცხადა გუშინ რიჩარდ არმიტიჯმა.

■ ■ ■

**მოსკოვი**. ირანმა განაცხადა, რომ დროებით წყვეტს ურანის გამდიდრებას და გაერო-ს ინსპექტორებს საშუალებას აძლევს, მისი ბირთვული ობიექტები უფრო დეტალურად შეისწავლოს. ასეთი პირობა თეირანმა ერთი თვის წინ ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრებს მისცა.

მას შემდეგ, რაც გაერო-მ ირანი ბირთვული ამბიციების გამო მკაცრად გააკრიტიკა, მოსკოვში მყოფმა ირანის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ ჰასან როჰანიმ განაცხადა, რომ ინსპექტირება საშუალებას მისცემს გაერო-ს, დარწმუნდეს იმაში, რომ ირანის ატომური პროგრამა მხოლოდ მშვიდობიან მიზნებს ისახავს.

■ ■ ■

**ბაღდადი**. მას შემდეგ, რაც ბაღდადში თავდასხმის შედეგად კიდევ ერთი ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა, ერაყის ამერიკელმა მმართველმა პოლ ბრემერმა განაცხადა, რომ მალე ადგილობრივი წინააღმდეგობის მებრძოლები კიდევ უფრო გააქტიურდებიან, რათა ერაყის რეკონსტრუქცია შეაჩერონ.

ბრემერმა დასძინა, რომ ამის მიუხედავად, ამერიკული ჯარები ერაყიდან არ გავლენ, რადგან ეს მთელ ახლო აღმოსავლეთში ვითარების უკიდურეს გამწვავებას გამოიწვევდა.

■ ■ ■

**გვატემალა-სიტი**. ყოფილმა სამხედრო დიქტატორმა ეფრაინ რიოს მონტიმ ხელისუფლებაში მოსვლა ვერ შეძლო. ამომრჩეველთა დიდმა უმრავლესობამ მმართველ პარტიას "გვატემალის სახალხო ფრონტს" ხმა არ მისცა. ამ პარტიას ბოლო დრომდე პრეზიდენტი ალფონსო პორტილიო ხელმძღვანელობდა, რომელიც ახლო მომავალში თანამდებობას ტოვებს. ამომრჩეველთა ანტიპათია სახალხო ფრონტმა კორუფციის გამო დაიმსახურა.

■ ■ ■

**მანილა**. ფილიპინებში კონსტიტუციური კრიზისი დაიწყო მას შემდეგ, რაც უმაღლესმა სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია პარლამენტის გადაწყვეტილება უმაღლესი სასამართლოს წევრის იმპიჩმენტის შესახებ.

მაისში დაგეგმილი არჩევნების წინ ფილიპინებში ვითარება სულ უფრო მწვავდება.

■ ■ ■

**რამალა**. პალესტინის პრემიერ-მინისტრმა აჰმედ კურეიმ განაცხადა, რომ არიელ შარონს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეხვდება, თუ მისგან სამშვიდობო გეგმის განახლების პირობას მიიღებს.

კურეი მოითხოვს, რომ ისრაელმა მოხსნას საგზაო პოსტები და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება დაიცვას.

■ ■ ■

**კოლომბო**. შრი-ლანკას პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა, რომლებიც ერთი კვირის წინ მწვავედ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, გადაწყვიტეს, ერთმანეთს შეხვდნენ.

პრეზიდენტმა ჩანდრიკა კუმარატუნგამ პრემიერი თავისთან მოიწვია და ეროვნული თანხმობის მთავრობის შედგენა შესთავაზა.




## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

# საქართველოში და რუსეთში დემოკრატიის დასასრული ერთმანეთს დაემთხვა

რუსუდან ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოვში

**"საქართველოში, ხელისუფლების კრიზისის პირობებში, რუსეთის პრეზიდენტის სატელეფონო საუბარი ქართველ კოლეგასათან მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა და იგი ზრდილობის ან თავაზიანობის ეტიკეტის დაცვით უფრო იყო გამოწვეული, ვიდრე სოლიდარობის გრძნობით,"** - ასეთ მოსაზრებას გამოთქვამს რუსი პოლიტოლოგი ვიაჩესლავ ნიკონოვი. ამასთან, მისი ვარაუდით, **"არ არის გამორიცხული, რომ შემდგარი სატელეფონო საუბრის დროს ვლადიმირ პუტინმა შევარდნაძეს უსაფრთხოების გარკვეული გარანტიებიც კი მისცა იმ შემთხვევისათვის, თუკი საქართველოში სიტუაცია უმართავი გახდება."**

ზოგიერთი მოსკოველი ექსპერტი ამტკიცებს, რომ პუტინი შეშფოთებულია რუსეთის შიდაპოლიტიკური მდგომარეობითა და იმ უარყოფითი საერთაშორისო რეზონანსით, რაც ბოლო პერიოდში რუსეთის მიმართ შეიქმნა მსოფლიოში. ამიტომაც იძულებულია, დასაყრდენი დსთ-ს ქვეყნების ლიდერებში ეძებოს. რუსი ექსპერტები იმასაც ამბობენ, რომ მოსკოვში დიდი ხნის წინათ ვარაუდობდნენ თბილისში სიტუაციის დაძაბვას. **"ფაქტია, რომ კრემლი ამიერკავკასიაში მსხვილ დესტაბილიზაციას ელოდა, რომელიც აზერბაიჯანიდან საქართველოში გადაინაცვლებდა,"** - ასეთი მოსაზრება გამოთქვა "ნეზავისიმაია გაზეტას" ყოფილმა რედაქტორმა ვიაჩესლავ ტრეტიაკოვმა.

რუსი ექსპერტების უდიდესი ნაწილი მიიჩნევს, რომ დესტაბილიზაცია დსთ-ს რესპუბლიკებში ოკეანსგაღმიდანაა ინსპირირებული და ცნობილი მილიარდერის, სოროსის მოღვაწეობას უკავშირდება. მოსკოველი ანალიტიკოსები ჩვენ ყურადღებას მიაპყრობენ ერთ საგულისხმო ფაქტსაც, რომ ორიოდე დღის წინ რუსეთის სპეცსამსახურებმა სოროსის ფონდი - "ღია რუსეთი" კომპიუტერებიანად გაყარა ქუჩაში. პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ამ ფაქტს კომენტარი არ გაუკეთა და პრობლემა ფინანსური დავის ჩარჩოებში დატოვა. ექსპერტების აზრით, რუსეთსა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ავტორიტარიზმი იმარჯვებს.

მოსკოვში მოიძებნებიან ისეთი ექსპერტები, რომელთა აზრითაც პუტინმა შევარდნაძეს რამდენჯერმე ურჩია გადადგომა. ამ თვალსაზრისის ავტორი ასეთი ვერსიის ჭეშმარიტებაში შემდეგი ფაქტებით გვარწმუნებს: დღეს პუტინის ფავორიტი სულაც არ არის შევარდნაძე. იგი ფსონს სულ სხვა ქართველ ლიდერზე ჩამოდის. ამაზე მეტყველებს რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პროპაგანდა. რუსეთის სამთავრობო ტელეარხებიდან არ ქრება აჭარის ლიდერის ასლან აბაშიძის გამოსახულება და მასთან ინტერვიუები. რუს მოსახლეობას მიეწოდება ინფორმაცია, რომ ასლან აბაშიძე ერთადერთი ლიდერია, რომელმაც საკუთარ რეგიონში სტაბილურობა შეინარჩუნა და დემონსტრაციები ალაგმა.

კრემლი რომ აბაშიძისადმი დიდი სიმპათიებითაა განწყობილი, მეორე ფაქტითაც დასტურდება: შემთხვევით არ მომხდარა, რომ კრემლის მიერ კონტროლირებადი ტელევიზია გასულ კვირას საინფორმაციო გამოშვებაში საქართველოში იუგოსლავური მოდელის გამეორებაზე საუბრობდა.

რამდენიმე დღის შემდეგ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსთა ინიციატივით ასლან აბაშიძეს საპატიო პროფესორის წოდება მიენიჭება.

მოსკოვში უკვე სერიოზულად ალაპარაკდნენ საქართველოში დემოკრატიის დასრულების ხანაზე, რაც ლოგიკურად დაემთხვა ანალოგიურ სიტუაციას რუსეთში. ამით აიხსნება რუსეთის პრეზიდენტის პუტინის ოფიციალური მხარდაჭერა შევარდნაძისადმი. ამ მხარდაჭერას მეორე სერიოზული მიზეზიც აქვს: 7 დეკემბერს რუსეთში საპარლამენტო არჩევნებია დანიშნული.